



ირმა შიოლაშვილი



ფოთლების ხილი





ირმა შიომლაშვილი

ფილოსოფის ხედი



გამომცემლობა „საარი“  
2009



© ირმა შიომლაშვილი - „ფოთლების ხილი“

რედაქტორი: გიხეონ მოსულიშვილი

ნახატი გდაზე: ჩითევან საგიაშვილი

დიზაინერი: საცდრო ჩხეტიანი

დაკაბადონება: საგამომცემო სახლი „სახე(ლ)ები“

## გაზაფხულის და ფოთღის ბაღაბა

რაღაცნაირად მიყვარდება ეს გაზაფხული -  
თბილი, გულწრფელი სურვილებით,  
ცოცხალი მზერით  
და თითებს ვიწვდი  
მისი მწვანე მიმართულებით.  
თავადაც ისე მაკვირდება,  
თითქოს მისი ნაწილი ვიყო -  
მისი გულიდან ჩამოჭრილი,  
ფოთოლივით გამძლე და სადა.  
არ მაწუხებდეს ლამები, არ ვწერდე ლექსებს,  
არ მივტიროდე ჭაობებს და საწუთროს ავდარს...  
მაგრამ რადგანაც ფოთოლს ვგავარ -  
უნდა გუძლებდე  
ავდრებსაც, მზესაც, კალიებსაც,  
მიყვარდეს უნდა  
ყოველი მწვანე გაზაფხული,  
ყოველი წვიმა, სიოს ჩურჩული,  
აპრილების ჩვეული სურდო  
და არასოდეს დამავიწყდეს ჩემი წარსული -  
მიწის მადლი და შემოდგომის მარადი შიში  
და დატოტვილი მდუმარება - ცამდე ასული  
და ჩემს ძარღვებში მოთქრიალე გენი და ჭიში,  
სანამდე ფოთლის დარდი მაწევს -  
უფლება არ მაქვს,  
ეს გაზაფხული გავაწილო -  
მზეს რომ არ იშლის  
და პოეზია - გულის შიგნით,  
ფრთხილად რომ დამაქვს,  
აპრილის ფოთლებს ვუსახსოვრო  
ღვთიურ სანიშნედ.

2008.

## პოეტის მონოგრაფი

რაღაცა ტყდება და ბოლო წერტილს  
სვამს ფოთოლცვენა და გაირება.  
ვერ შევიყვარე ცხოვრება მეტად –  
სახეში ისე მცემა ცხოვრებამ.  
გავდივარ ჩემი შეშლილი წრიდან  
და ზეცის თალებს ვესათუთები,  
მწერდა და მშლიდა, მწერდა და მშლიდა  
ამ დასაქცევი ყოფის წუთები...  
და ახლა ასე დაღლილს და მართალს,  
და უსაშველოდ ნათელს და მარტოს,  
ლოდინი გულზე ლოდივით მადევს  
და სიზმრებივით არეულ მარტებს  
ვიგონებ თრთოლვით და ვინც მიყვარდა,  
ბოლო წერტილს ვსვამ იმის თვალებთან,  
რადგან, ყოველი ყოფა იყო და  
სიზმარი იყო სიზმრისგარეთა.

1995.

## იანო...

როდიდან დაიწყეთ ფესვების დალოცვა...  
მე ახლა მარტო ვარ და თრთოლვით ვივსები,  
მიწის მდუმარება უსახოდ ბარბაცებს  
და ყველა, და ყველა ბრძად მეთავისებით.  
ბრძად... ჩემი მიწიდან იწყება ბავშვობა,  
ჩემია, ვიბნევი და მაინც ვმთლიანობ,  
იცდიან, დარღვიბენ და ცრემლებს აშჩობენ,  
რომ თქვენი სინედლე შეიგრძნონ, იანო;  
რომ თქვენი ცრემლიდან დაიწყონ ბარბაცი  
ხეებმა, რომლებიც სიმაღლით ძალობენ...  
როგორ შევიშალეთ, როდესაც გაგვძარცვეს  
სინათლედ მოსული მზის ნიაღვარებით;  
როდესაც გაგვძარცვეს და ყველა წერტილში  
ჩაგვტოვეს დუმილად და მარადისობად,  
მე ქვების სურნელიც რაღაცად მენიშნა  
და ქვა შევიყვარე შიშველი ღირსებით  
და ყველა იმედი საფლავთან დამებნა...  
რა მერე, თუ გული ლოდინით ხმიანობს,  
მე, ალბათ, იმიტომ მოვედი ამქვეყნად  
რომ თქვენი სინედლე შემეგრძნო, იანო.



1995.

## ანთო შეიძლება

\* \* \*

...არ შეიძლება, ლექსებს წერდე ძველი ინტიმით,  
ძველი ცოდვებით მიღიოდე ტაძრის კარებთან  
და სიკვდილივით გაშინებდეს რაღაც მარტივი –  
ბრძან მოდებული სიყვარული, გულისგარეთა.  
არ შეიძლება, მოწესრიგდე, როცა სახელად  
გქვია პოეტი და ფოთლებში ეძებ სინაზეს.  
აშა, საღამომ ძველი ბოლმა ამოახველა  
და დასჭილივით მიგაჩაჭვა ფანჯრის მინაზე.  
რა მარტივია ყველაფერი, როცა ხმაურობ  
და ყველა ხდება მოყვარული და შენიანი,  
და ტკივილამდე აჩადოებს შენი აურა  
ადამიანებს...

მომლოდინე ადამიანებს  
და რა რთულია ყველაფერი, როცა იღლები,  
როცა მთიები მკერდზე აკრულ დალებს იჩენენ;  
როცა შენიდან, როგორც ჭიდან, ამოიღებენ  
წყალს, რომ გვალვისგან  
მშრალი გვამი გადაირჩინონ.  
რა უცნაურად იტვირთები...  
თუმცა ფარულად  
რაღაც მარადი, ჩაუქრობი ცეცხლივით გათბობს...  
და სიმარტოვე - ერთადერთი თავშესაფარი  
ისე მიგელის, როგორც მზისგან  
დასიცხულ სატრფოს.

1995.

## მოღით...

ხომ მოხვალთ. მოდით.  
მე მიწას ვკოცნი.  
მე მიწას ვკოცნი  
და ცრემლებს ვაღრჩობ,  
ზეცა როდესაც თეთრ ფანტელს მოცრის,  
დიდი სინათლე მყოფნია სარჩოდ...  
მოდით. დღეს ჩემში ვიღაცა ბორგავს  
და კივის მიწის აუხსნელ სახელს,  
წარსული ქალის ნაწნავებს მოჰვავს  
და ქალის ოვალებს სიამით ახელს.  
და ქალი – მიწის ცრემლივით სუფთა  
კანკალებს, როგორც დაჭრილი შველი,  
მე წარსულს დიდი ფილტვებით ვსუნთქავ  
და ქალიც უამის სუნთქვაში მშველის.

მე ვკოცნი მიწას და რადგან მიწა  
კანკალებს ვნებით და ურუოლა ახრჩობს,  
ვაცილებ გულზე დარჭობილ ხიჭვებს  
და მზიან ღიმილს ვუტოვებ სარჩოდ.  
მოდით...

1995.

## აბდე შაოლიაშვილი

\* \* \*

ახლა ამ მიწას ატკივდება ჩემი ცხოვრება  
წვიმის ხმაურში დაბრუნებულ  
თეთრი ვარდებით,  
ეს დაბრუნებაც მხოლოდ მიწას ემახსოვრება,  
ემახსოვრება მოლოდინად ან დაბადებად.  
ეს დაბრუნება სინანული იქნება, ალბათ  
(წყვდიადს ბეჭებზე სიყვარული ჩამოადნება),  
მე... უხმაუროდ ჩავისუნთქავ პროსპერ მერიმეს  
და დაშსხვრეული სარკის ხმაზე ავხარხარდები.

1994.

## ԿԸԾՈՒՅԹ ԹՈՆԾՈՂՑԻ

Ի՞մո ՑՇՐԳՈԱ ՍՈՍԵԼՈՒԱՆՈ  
ՃԱ ԵՐԿԵՄԼՈՒԴԱՆ ԱՄՈՒՀՌՈՒԾՈԼՈ ՄՈՎՈԹՄԵՆԼՈՒԾ  
ԹՎԱԼԵՑՈՒԹ ԿՎԵՏԱՑՍ  
ՍՈՆԱՆՇԼՈՒԹ ՃԱԼՎԱՀՌՑՆՈԼ ԿՈՏԵՔՏ.  
ՄԵՎԲԻՌԵՑՈՒՑԱՐ ՄՈՎՈՒՐՈԱԼԵ ՆՈՍԼՈՍ ՆԱՇՆԱՎԵՑՏ  
ՃԱ ՄԱՐԱՑՈՒԾԱՍ ԱՇԽՋԵՆԵԼ ՍՇՐՎՈՒԼՈՒԹ ՅՈՎՏԵՑՏ  
ԵՐԿ ՃՐՈՍ ԾԱՎԱԺՎԵ ԱՎՈՒՐՏԱԼԵ, ԻՆՉ ԵԼԵՑՈՒՑՈՒԴԱՆ  
ԱՄՈՄԵՑԱՌԾԱ ՏՈՎՎԱՀՌՇԼՈՍ ԼԱՄԱՑԻ ՎԱՌԾՈ  
ՃԱ, ԱԵԼԱ, ՑՇՐԳՈԱ ՍՈՍԵԼՈՒԱՆՈ ԼԱԺԵՑՏ ՄԱՄԵԼՈՍ  
ԻՆՉ ՇՎԵՏՎԵՑ ԻՆՉՌՈՒԾՈԼ ՃԱՆԱՇԱՇԱԼՈՍ  
ԺԱԼՈՒԱՆ ՎՃԱՌԾՈԾ.

ՃԱ ՆՈՍԼՈՍ ԾԵՏԻՐՈ ՆԱՇՆԱՎԵՑՏ ՍՇՐՎՈՒԼԵՑՏ ԿՎԵՏԱՑՍ.

2005.



## ბონის ღლიურიგან

რაინს გულამდე ჩასდის მოწყენა  
და ჩემი მზერაც გულამდე ჩასდის...  
და თვალის ანკეს - ღრმას და ორწვერას  
მოსდევს თევზების სიბრძნე და დარდი.  
„ჩემი მდინარე“ - ვამბობ და მიკვირს,  
რომ უცხოს ასე უტიფრად ვჩემობ...  
ის კი - მშვიდი და ბებერი წიწკვი  
იხდენს დრო-უამის სუნსა და გემოს.

2008.

## ფოთღების ხილი

მე ახლა ვმარტოობ. ძველი იმედებით  
ვის მიუღწევია სიმშვიდის კარამდი.  
შუაში ფოთლების ხიდია, ბატონო,  
და ხიდზე ისვენებს რაღაცა მარადი.  
შუაში ფოთლების ხიდია, ბატონო,  
და, თუმცა, ცხოვრებაც ძალიან მომწონს,  
მაინც გონებით, გონებით ვმარტოობ -  
ვერიდები საწუთროს ჭუჭყასა და ლორწოს.  
ბატონო, მე ვიცი, საიდან იწყება  
ყველაზე ლამაზი სიზმრების ფერები.  
სიყვარულს როგორი ცრემლებით იწყებენ,  
როგორი სიტყვებით, როგორი ხელებით...  
მე ვიცი სურნელიც, მაგრამ ამ ტალახში  
ვერ ვარჩევ რაღაცას, რაღაცას ვკარგავ...  
სხეული იღლება უაზრო თამაშით  
და დაუსრულებელ ცხოვრების ხარკით  
და ცდილობს გაქცევას,  
და ყოფის მტვერტიალს  
ბოლმა მშრალ ხახაში აწვება უხმოდ.  
ბატონო, მე ვიწყებ უაზრო ხეტიალს  
და ყველა მარტოსულს ჩემს წრეში ვუხმობ.

შუაში ფოთლების ჭრელჭრულა ხიდია  
და ხიდზე ოვლემაა ნაცნობი სურნელის.  
ზეცაში რძისფერი ღრუბლები მიღიან...  
ვმარტოობ... სულს მიწის ტკივილებს ვუნელებ.

1992.



## 8. ბ.-ს

მე ვიყავი ხე - რომელსაც  
მარადიულობისკენ უბიძგა ღმერთმა,  
მე ვიყავი მგელი -  
რომელიც მგლებში ცხოვრობდა და  
ეშინოდა მგლად დარჩენის.  
მე ვიყავი ლოცვა,  
რომელსაც ბაგებს ულურჯებდნენ და  
მერე ფარული და  
შემპარავი მზერით უსწორდებოდნენ.  
მე სიკვდილი ვიყავი და  
უსიკვდილოდ გარდავიცვალე,  
რომ ახალი დაბადებით გადამერიეთ.  
მე ტკივილი ვიყავი და ვიგრძენი გენი,  
რომელიც მიწაში ფეთქავდა და...  
ვიკივლე, ვიკივლე!!!  
მაგრამ კივილი არცვინ გაიგო და...  
მაინც გამისწორდნენ!  
მე ვიყავი ქარი და, ვიცოდი, რომ  
ამ სამყაროში ვერსად ვერ გაიქცევი,  
რადგან ირგვლივ ჭაობია და  
უსწორმასწორო მოლოდინები.  
დაგიტირეთ, დაგიტირეთ მხეცის ღრიალით!



მე დავიმახსოვრე თვალები და მოლოდინი  
და არეული ნაბიჭებით წავედი, რომ  
დასასრულით დასაწყისი აღმომეჩინა.  
მე ავივსე და განვმარტოვდი როგორც მზე,  
როგორც მიწის ნაპრალიდან ამოსული  
სველი გოდება

და წავედი...  
წავედი, რომ მოვსულიყავი  
თოვლად, წვიმად, მონატრებად და  
დამესაჭეთ მგლობისათვის, სიძულვილისთვის.  
მე წავედი და დავტოვე მზე -  
დამდნარი მიწა.

1994.

## ვარ ხმამაღარი

ო.ჭ.-ს

უკვე დასრულდა. თუმცა ვიცოდი  
ცხოვრებას რაღაც სხვა სურდა ჩემგან,  
თუმცა ვიცოდი, მაინც ათრთოლდა  
ბავშვის ტკივილით შეშლილი სული.  
მე ცრემლი მეცვა და ყველაფრიდან  
გამოვდიოდი ცრემლივით სველი,  
მიწა კი, მიწა სხვაგვარად მხსნიდა  
და პურს მიწვდიდა დამჭკნარი ხელით  
და ნაფლეთები, რომელიც მწამდა  
იყო სინათლით თავბრუდამხვევი,  
და კულისებში გაღრჩიობდი ფარდებს  
გადარეული ქარის სახელით  
და უხმოდ ვთრთოდი, თუმცა ქარიდან  
მრჩებოდა დიდი სიშლეგე დაღად  
და ვიწოდებდი სურვილს ხვალიდან,  
რომ წარსულისთვის მეჩუქნა რაღაც.  
ვგრძნობდი, წარსულში ინახებოდა  
პირველი თრთოლვის თეთრი ფესვები  
და ვბრაზდებოდი, რომ ვერ ხვდებოდნენ  
ვის ეძღვნებოდა ჩემი ლექსები,  
და ვდუმდებოდი, როცა ყველაფერს  
სვამდნენ ჩარჩოში და მთვლიდნენ ბალლად.  
მინდოდა, სიტყვა შემომენასა  
წარსულის ტრფობის მშვენიერ დაღად  
და როლებიდან ვარჩევდი ბოლოს -  
როლს ადრეული სიტყვებით შეშლილს,  
რადგანაც სიტყვა მიყვარდა მხოლოდ  
და სიტყვის ცრემლის მომწევდევა პეშვში  
და ვჭერდებოდი პოეტის ილბალს,  
ილბალს - მითიურ სიზრმის ნაშვილებს.



Տան Աքեղքին մտցերև զօրշեծած նօլծած,  
Տան ծցերեծ - վրելուն և դա համուլունուն  
Ըստ մասնաւունուն առաջած զգածնածած  
Տեսա սօնաւունը հռու շաղածնեն հեմցան.  
Եղածա բարձունուտ սացեա յորդա,  
Եղածա բարձունուտ նամունեծ զերշաց,  
Մանց մցոնա, դուծ ձեշցունան  
Համուղունց հալաւ մարած մարածա.  
Մյ, ալծատ, մուզարուս դարձու Շեմշլունա,  
Աքեղքին մուտեծ հռու առ զօնարազաւ.  
Ալծատ, սուրցունուց պալծած մեմշցունա  
(սուրցունու, Եղածա, մեմակեսունց հեծա),  
Մանց մցոնա, հեմու ձեշցունան  
Հալաւ արպուցունու օտեռուս Աքեղքին.

1996.

## გასვერა ფოთლიანი ნირან

იმ თამაშიდან გასვლა რთულია,  
მე მეშინია და ვიკარგები...  
ეს ძველი რწმენის დასასრულია,  
დაზაფრულია სული ხარკებით.  
იმ თამაშიდან გასვლის მსურველებს  
ელით სევდა და არაფრისქონა.  
გაითიშება სულის ზუმერი,  
დუმილს დუმილით გამოიგონებს  
და წრის გადაღმა იქნება ფეთქვა,  
იქნება თრობა ცითა და ნამით  
და გამჭვირვალე გულების ხეთქვით  
გადაარჩენ უზუსტეს წამებს  
და ამდენ „და“ -ში ჩარჩენილ ნაღველს  
შეატოვებენ ოქტომბრის ბერძნებას,  
(სული როდესაც გლუვ კარებს აღებს,  
სასწაულების უზომოდ სჯერა).  
...და ამდენ „და“ -ში ტრიალებს რაღაც...  
ძალიან მარტივს სთელავენ უხმოდ.  
ვის დასჩენია ფოთლები დაღად,  
ფოთლები, ანდა, ვის ცრემლებს უხმობს...  
საიდან თმების სურნელის სუნთქვა,  
საიდან ღამის თვალების ფერი,  
ატმის ტოტებსაც რაღაცა უთქვამთ,  
გაფრენილ სიტყვებს შესთხოვენ შველას  
და შიში შვენის წრიდან გასულებს,  
მთვარის ასულის ლამაზი შიში...  
მეც დარდი ასე თუ დავასრულე  
იქნებ სიყვითლეც ხელახლა იშვას  
და შეგრჩეთ ჩემი ძველი სურვილი,  
რომელიც ერთდროს ვერა ვთქვი ენით:  
რომ შეშლილ ქარში შეტოვილ ფოთლებს  
მინდოდა, რაღაც ჰქონდათ ოქვენი.

## ნაღი...

ეს შენ ხარ, მთვარის თეთრი ასული  
და ნისლიანი სულის ხეტება,  
სცენაზე როლებს ისე ასრულებ  
დასაკარგავად არ ემეტები  
იმ უხილავი სცენის რეჟისორს  
და გაწვდის სცენარს თოვლის თითებით,  
თუმც ვერ ხვდებიან, რა შევია შენს როლს -  
ამონთება თუ გადაფითრება,  
ვერა ხვდებიან... და უცხო როლებს,  
და უშნო როლებს გირჩევენ ხოლმე.  
შეუღწევია შენი სინათლე  
იმ უნათლესი სინათლის ლტოლვით,  
შეუღწევია და ისე დუმხარ  
როგორც ტკივილის განმეორება.  
თმა უთეთრდება სამყაროს ქუხილს,  
ჩამოხეთქილი ცრემლის ტბორებით  
და ისე დუმხარ, როგორც სინათლე...  
და დუმილს უხმო როლებს არქმევენ.  
უწვდომი ნატვრით სევდა ინატრე,  
გული დაგმანე თოვლის სარქველით  
და უხილავი ფერის მანტიით  
მიუახლოვდი შეუცნობ წადილს...  
აქ სიყვარულიც არ გაპატიეს  
და ამიტომაც ჭობია, წადი!  
წადი... კულისებს იქეთ ზეცაა  
და ფეთქავს შენი თეთრი გზაწვრილი,  
მიწაზე ფეხი თუ მოგეცარა,  
სითბო ვარსკვლავებს გაუნაწილე.  
წადი... აქ სცივათ მთვარის ასულებს  
და შენი ბინდიც ბინდისფერია.  
ზღაპარს ლამაზად რა დაასრულებს,  
მტვრიანი ლაქა თუ შეერია.

## ხსოვნის ნაპირი

მაკა აბულაშვილის ხსოვნას

ვინ მორთო ჩემი მოგონება სამკაულებით,  
ან იმ თვალების სიცივეში ვინ ჩამასახლა,  
დატეხეთ ლოცვით ავსებული სველი გულები  
და დაყარეთ სითეთრეში ჩაძირულ სახლებს.  
დღეს ჩემი რწმენა გაბზარული სარკის გულია,  
სადაც მიგნებებს ინახავენ მკვდარი სიზმრები.  
დეკემბერს ცრემლის ნაფეხურზე ჩამოუგლია,  
დალლილს ტკივილით, მოგონებით, აფორიზმებით  
და სარკესავით დამსხვრეულა რაღაც წყვდიადში  
(ჩემი ბავშვობის აკორდებსაც ბგერა შეშლიათ),  
ძველი სიზმრები მოგონების ფსკერზე მიაშრეს  
და, მოგონებებს მისტირიან, სავსეპეშვიანს.

მეც დამამსხვრიეს  
გარდაცვლილი სიზმრის ზარებმა,  
მეც, დატეხილმა, დავიტირე ხსოვნის ნაპირი,  
ჩემი ბავშვობაც ფეხაკრეფით მიიპარება -  
ათრთოლებული სხეულიდან გასვლას აპირებს.  
ვცარიელდები და მაშინებს ის მონატრება,  
ერთხელაც თავს რომ შემახსენებს და ამაკივლებს...  
ვიცი, დღეები დალლილ სულზე შემომადნება,  
სულზე, რომელშიც გარდაცვლილი მზერა ჩაკირებს.  
აირევიან აჩრდილები. მე რომ მაშორებს,  
იმ დღეებივით გაფითრდება მიწის სხეული...  
ჩემი ბავშვობა გატეხილი სათამაშოა,  
მთვარის სხივებში ნაწილ-ნაწილ მიმობნეული.  
ჩემი რწმენა კი გაბზარული სარკის გულია,  
სადაც მიგნებებს ინახავენ მკვდარი სიზმრები...  
დეკემბერს ცრემლის ნაფეხურზე ჩამოუგლია,  
დალლილს ტკივილით, მოგონებით, აფორიზმებით.

1996.

\* \* \*

ვინ გაჰყვება ჩემს ფიქრიან აჩრდილს,  
ვინ მიაგნებს ჩემს დარღიან ლექსებს.  
უეცარი სიმარტოვე მაწვიმს,  
უეცარს და არარსებულს ვეძებ...  
მოგარდისფრო ანგელოზთა სუნთქვას  
და სიცოცხლეს - ლექსის ტირილს ვადრი...  
სად გავეძცე, სად გავეძცე მუზას,  
როცა სიტყვებს ლექსი თვითონ მაცლის.  
სად გავეძცე უმარტივეს როლებს,  
სად ვიპოვო უნაზესი ფერი,  
გაიფანტა სურვილები ისე,  
როგორც გზაზე უეცარი მტვერი.

1988.



## ლამე და გაზაფხული

აქ მთვარის ნაფლეთი გდია.  
ლამე ახამხამებს თვალებს.  
- გიყვართ გაზაფხული?  
- დიახ!  
გპასუხობ ოცნების ქარებს.

ქარს ღრუბლის ნაფლეთი მიაქვს.  
წუხილი თეთრ ბაფთას იქნევს...  
- გიყვართ პოეზია?  
- დიახ!  
გპასუხობ გალუმბულ ფიქრებს.

ირგვლივ მოლოდინი მეფობს  
და კითხვას ებმება კითხვა.  
აყრუებს ტერასებს ექო  
ძველისძველ, გალუმბულ ფიქრთა.

1988.

## და ეს მზე ჩემი სამოსახლოა

მე ვხედავ დუმილს და მეშინა...  
და მარტოობაც ისე ახლოა...  
ეს მთვარე ჩემი კვნესა, ფიქრია  
და ეს მზე ჩემი სამოსახლოა...  
შიშსა და ფიქრებს რაღას შევჩივლებ  
თუ მარტოობის ტანჯვით ვივსები  
და მრჩება მხოლოდ უცხო სევდა და  
მხოლოდ ლექსები, მხოლოდ ფიქრები.

1987.



\* \* \*

„ქარმა შეარჩია რტოი ძეწნისაი“.  
ანა კალანდაძე

რა იყო - ნუთუ მომეჩვენა თქვენი აჩრდილი,  
უნდა დაგმორდეთ, დაშორება თუმცა მაოსებს.  
ქარის კივილში იდგა ძეწნა ხელებგაწვდილი  
და მისტიროდა გადაცრეცილ დღეთა ქაოსებს...  
რამდენი ლექსი დაწერილა ასეთ სევდაში...  
სიმარტოვეს კი თავი მაინც ვერ დავაღწიე,  
მივუახლოვდი მოგონებებს ფერთა სულთქმაში  
და რტოი ძეწნის ლიმმორევით გადავარწიე.

1989.

## ბ-ს

„ალბათ, სული უფრო მაღე მოაღწევს შენამდე,  
გიდრე ჩემი ბარათი“.

მეგობრის წერილიდან.

ბარათი იყო ისეთი თბილი,  
ისეთი სავსე და ცრემლნარევი,  
შემომჩინა სულზე ცისფერი თრთვილი  
და ალსარებით სავსე თვალები  
ვიხილე ცხადად... ახლა ვრწმუნდები,  
სულმა ნამდვილად მოასწრო ბარათს...  
დამეწევიან თეთრი გუნდები.  
დღეებს გამიობობს ფიქრების ფარა  
და იმ მესამე გზის ძიებაში  
დაფარავს სული ცისფერ გზაწვრილებს,  
ჩვენ ხელმეორედ დავიბადებით  
თუ მზის სხივებმა არ გაგვაწილეს.

1990.



\* \* \*

გული მაინც ოქვენთან დარჩა,  
გული მაინც ვერ მოვთოკე...  
ზეცა ღრუბლებს გაესარჩლა.  
ჭაობიდან გამოვტოპე.  
რა ვთქვა, ნათლად მომეჩვენა,  
სისხლი გულზე შემომაწვა...  
გული მაინც ვერ მოვთოკე,  
გული მაინც ოქვენთან დარჩა.

1988.



## იცრემლება ფერი

რად მაშინებთ ცრტემლებით,  
რად მახარებთ სიტყვით,  
ლექსში ველარ ვეტევი,  
ლექსის გარეთ ვილტვი.

პოეზია ფართხალებს,  
პოეზია ფერჭავს,  
არასდროს მეშინოდა,  
რაც არ უნდა მეთქვა.

არასდროს მეშინოდა  
ღამის შავი ფიქრის,  
ლექსებივით ოცნება  
ცის კიდურზე მიჰქოდა.

იცრემლება დღეები,  
იცრემლება ფერი,  
მაგრამ ლექსი თამამად  
სიცოცხლეზე მდერის.

1988.

## ჩანახაფი

„მკვდარ თითებს შორის იღვრებიან ნაცრისფერი  
მარგალიტები“. გეორგ თრაქლი

ვდგები. ხმამაღლა ვკითხულობ თრაქლის.

ხმაური სუნთქავს ოთახის იქეთ.

ეზოში მშრალი კივილით დაპქრის

ქარი და უხმოდ ემხობა პირქვე.

რა მესმის... რომელ მოლოდინს ვუხმო,

რომელი დარდი მიჩანს ბრკოლებად.

ეზოში ქარი ქვითინებს უხმოდ,

ფანჯრიდან სუნთქვა მიიბოლება.

1995.

\* \* \*

մոմօլոնեծեն ցոլից օմեդած  
Տօնմէրեծ ցորեծութ Շենակովովիշեծ  
ճա մերց, ալծատ, ճարծուս յշընօճան  
նածոխարեցութ մոլուլա մոմօվիշեց,  
համոլնեծուան տշտրու ռհուծլուեծու,  
ճամելզրեծուան մերեծից Քութած  
ճա յարու միշետան յասաւծրեցութ  
սոլուս սոյցարուլուս պացուլս մութանս.  
Սառուարուա, հուրա մուռուծա  
ցոլից պօնուլուս լոռութ ճամացես,  
իշմէ նայցալուցից յարու յուռուծա,  
յարու յուռուծա մոայշամամցա,  
մոայշամամցա մոմցու սոլութութ  
պոցույրեծուս զերշետցուսեծուս  
ճա, ամութուաց, յամորիշուլուծ  
մեսեցուսեծութ ճա մետացուսեծութ,  
լմերտուա մովիշե, առ մոցարեծուա  
արսեծուլութ ճա Շեյմնուլութ յերաց,  
հմբենա ճացկարց Տօնմէրուս սահլուարտան,  
հմբենա ճացկարց ճա մասնու մշերա  
հոմ մոմօլոնեծութ ցոլից օմեդած  
Տօնմէրեծ ցորեծութ Շենակովովիշեծ  
ճա, մերց, ալծատ, ճարծուս յշընօճան  
նածոխարեցութ մոլուլա մոմօվիշեց.

1991.

## არაფერი ან ვიცოდი

არაფერი არ ვიცოდი,  
ღობე-ყორეს ვედებოდი,  
წლები ფურცელს ეკვრებოდა,  
წლებთან ერთად ვბერდებოდი.  
ვერაფერსაც ვერ ვხედავდი,  
ვერაფერსაც ვერ ვხვდებოდი,  
ზოგჯერ ფიქრებს გავურბოდი,  
ზოგჯერ ფიქრებს ვნებდებოდი,  
ზოგჯერ დარდით ვორდებოდი,  
ზოგჯერ ღიმით ვერთდებოდი...  
არაფერი არ ვიცოდი,  
ღობე-ყორეს ვედებოდი.

1988.

\* \* \*

Ծցանան մեղքրեծո -  
Ցավատուլո ցալուս ցեղիցամո  
Մշուճուն ճուլաս դա յժինուատ,  
Ճամբ օլյ առ ցանլուս,  
Ցեր մռասիկոն անջրերմուս ոյմա  
Ատոնատցեծուն.

1990.

\* \* \*

Ամ յրտել կուզեց մռցութեցեծ  
Ճա, տպաց ցոնճա,  
Մտելո ցեղարեծա  
Ճատմոծաչց Շացալ Շենճամո...

Յրտուս პորոծուտ -  
Տպ լոյիսեծուց մռցութեցեծեն.

1990.

\* \* \*

იცინის ბავშვი...  
და სიმწუხარეც ხათრს ვეღარ უტეხს...  
ატმის ყვავილი კისკისა ქარს  
დალალებს უხვევს...  
(ატმის ყვავილის ერთი ფურცელი  
დაფრინავს ცაში).  
ვერ ვხვდები, როგორ, მაგრამ სცივათ  
მწუხარე ფოთლებს.

1987.

## შემეშვეღეთ...

ზღვის ნაპირზე  
ზღვისფერ ტალღას  
ტალღა ტალღად ეკონება,  
შემეშველეთ, თორემ მიწა  
მართლა მიწა მეგონება.  
შემეშველეთ, თორემ სული  
ზეცისაკენ მიისწრაფვის,  
მონატრებად შემრჩენია  
თეთრი ქაფი.  
ჰოი, გულო, გულისფერი  
გაგულებით გამახელე,  
რა ლექსები, რა ლექსები  
გადაარჩენს ამ სახელებს...  
დასისხლული თითები და  
გაპასტული უჭრედები,  
რით მოგხიბლოთ, როცა თავად  
ტკივილს ვეღარ ვუჭრედები.  
ეს ტკივილი ტკივილისფერ  
ტკივილს ისე მიკრობია,  
ისე მტანგავს უსახობა  
და სიმართლე დაჩაგრული.  
ირევიან აჩრდილები,  
სულს სისხლისფრად შერჩენია  
ჩამომდნარი მოგონება  
ტალღასავით აჯაგრული.  
ზღვის ნაპირზე  
ზღვისფერ ტალღას  
ტალღა ტალღად ეკონება,  
შემეშველეთ, თორემ მიწა  
მართლა მიწა მეგონება.

1991.

\* \* \*

შეღამებისას იწყებოდა ქარის კივილი,  
თეთრ მოსასხამებს ისწორებდნენ მოგონებები  
და ჩემს ოთახში შემოდიოდნენ.  
და კედლებიდან ჩამონაუონ მომწვანო სევდას  
საუცხოოდ ეხამებოდა  
ქარისა და მოგონების იდუმალება.  
მაშინ, ცხადია, ვერ ვხვდებოდი,  
რომ ოცნებაში დაკარგული თეთრი წუთები  
ადრე თუ გვიან  
გალათივით მომიჭერდნენ სულზე მარწუხებს  
და გლოვისათვის გამამზადებდნენ.  
მაშინ ყველაფერს დამტვერილი ნისლი ეფარა  
და მეც ვერ ვგრძნობდი,  
საიდან, როგორ ვუღებდი სულის მოცისფრო კარებს  
სიყვარულით გამობარ ფერადებს,  
არც ის ვიცოდი, ოდესლაც ნაზი ფერადები  
მკაცრ მოგონებად თუ იქცეოდნენ  
და ჩემს მომწვანო, მომცრო ოთახში  
სანთელივით ამინთებდნენ სასოწარკვეთას.

1991.

## Առօք մըսոցնօքա

Ի՞ւ մտավարօս, ոյո Տօմիշվուլո  
Ճա, հոգորդու մշամ, Վորտա մըսոցնօքա.  
Ըստու ցանուածատցուս, Ես մոմուրուցեթ,  
Ես Քամոմարտմեցա ճոմուլս պացուած.  
Վուսկրուսցերօս Վուսկարօ մեռլուգ,  
Սէցուսցուրօ կո - Իւ առ առօ...  
Գաճանրօս ացաւուստու ծոռլու,  
Ամէկուցա Տուլուս ձարլու մտավարօ  
Ճա ճապլուտուլու Ցէպուս կուցուլուն  
Մուտետրու ցոռուլուն Շեմոմաթուզուս...  
Չուպուց մանցու, Չուսու ծրալուս  
Հյումու Տօմիշվուլո Ճա Տօմարտուզու.

1991.



## იოახიმს

### 1. ეს ევროპის შუაგულია

ის ამბობს: უცნაურია, სად ისწავლე  
უნილბო სახეებზე ამგვარი მსჯელობა.  
ეს ევროპის შუაგულია,  
სიყალბით დაღვარჭლული  
და ადამიანებს გონება  
ფერების შერჩევისკენ აქვთ მომართული,  
რომ აკრულ ნილბებზე  
მომცინარი მზეები აიხატონ,  
ან ფერადი ვარსკვლავების ყალბი ნათება.  
შენ კი რამდენად გულუბრყვილოდ  
ცდილობ ხოლმე –  
ამტკიცო რაღაც სიკვდილიდან წამოყოლილი.

1999.

### 2. გიცი, რომ ჩემთან ხარ

განა არ ვაღიარებ, რომ ძალიან უცხოა  
ჩემი გული ამ მდუღარე სიყვარულისთვის,  
რომ ისე ვაწყდები შეშლილ შუაღამეს  
თითქოს დალუქულ სკიგრში ვრიალებდე.  
მიყვარხარ, ვამბობ და თავადაც ვერ ვხვდები  
რატომ მეხსნებიან ახალი იარები,  
ვერ ვხვდები, თუმცა კი მუდმივად ვაღიარებ,  
რომ მიწის ნატეხები მზის ირგვლივ ტრიალებენ.  
მეც თეთრი მიწა ვარ და ჩემი ნატეხები  
მზის ნაწილაკებმა უსიტყვოდ გათვალეს  
და ახლა დამცინის შიშველი სამყარო

და მახევს სახიდან გარდისფერ სათვალეს.

ვიცი, რომ ჩემთან ხარ და მაინც მაწუხებს

რატომ ვერ ვკითხულობთ ერთმანეთს ბოლომდე,

მე შენი ნეკნი ვარ უცხო ნაწილებით.

შენ გინდა, ყოველთვის შენს გვერდით ცხოვრობდეს

ჩემი მოთმინება და ჩემი ნუგეში,

რომელმაც ათასჯერ უხმოდ აღიარა,

რომ მაინც მარტოა შენს ძლიერ უბეში,

რომ მოსწონს ყოველი გახსნილი იარა.

2008.

### 3. ჩემი ქართული სისხლი

დღეს ნახევრად ვარ შენი ნაწილი.

ჩემი ქართული სისხლი და

ლექსით გათანგული პოეტის ბაგი

ჭიუტად გარბის შენი ღამიდან

და კოშკებს თავის მიწაზე აგებს.

თუ მიუხვდები იღუმალ სევდას

ძვირფასი ცოლის ბაგეს და თითებს

და მზერას – ღამის ფსკერზე რომ ხედავ

და ამ მზერაში ჩამსხვრეულ მითებს,

თუ იგრძნობს შენი ამაყი სისხლი –

სხვა მითებით და ზღაპრებით სავსე...

დაფარულია ეს ღამე ნისლით

და წვიმა დასდის ლოდებს და ხავსებს.

მე მღვრიე მზერით გავრბივარ შენგან

და ხელი - მთვარის სხივად გაწვდილი

სხეულში წარსულ ტკივილებს ნერგავს...

დღეს ნახევრად ვარ შენი ნაწილი.

2004.



#### 4. ყოფილი კაპიტანი

ყოფილი კაპიტანი ისეთი სათუთაა,  
ცხოვრებას პოეტის სიზმრებთან იყოფს.  
მე უკვე გამოვტყდი, რომ მისი თვალების  
ღრმულებში ჩამხრჩვალი ცისფერი მიყვარს;  
რომ მისი ცისფერი ჰეგავს სიზმრის ნარჩენებს  
და რწმენას - ოცნებიდან ამოყელილს...  
ცხოვრება მიწიერ სასწაულს მაჩვენებს -  
მიწიერს სიყვარულად დაგიყოლებ.

2001.



სულს - მიწისთვის რომ არ გემეტება  
და მზერა - ოდნავ დახრილი ჭრილით,  
და სული - მწვანე ფიფქით ნაფერი...  
შენ - მონატრების უფერო შვილი,  
მე - ვარსკვლავეთის სადა საფერი...  
ჩვენ - უსაშველოდ გადაღლილები  
დიდი ცრემლით და მარადისობით...  
ცაზე ირწევა ოქროს ღილები,  
ცა უჩვეულო ნათლით ივსება  
და ვმეორდებით. ჩვენ ვმეორდებით,  
ჩვენ ვემსგავსებით დილის ფეთებას  
და, გვიხარია, რომ ერთმანეთი  
ყოფის მტვერისთვის არ გვემეტება.

1996.

\* \* \*

მან დაწერა: „ჰაერი მტკივა“  
და სულის რაფას  
დაბინდული მზერა შეავლო,  
ხოლო ხელები  
მოტეხილი ტოტივით ეწყო  
საკუთარი მუხლის თავებზე  
და აქერცლილ თითებს შორის  
ირწეოდა მოყვავილე სიტყვის სინედლე.  
ჰაერი კი გარდაცვლილი ფერივით თრთოდა  
გაფითრებულ და მზედანატრულ  
სულის რაფაზე



1999.



## ანთო შარლაშვილი

\* \* \*

ქალბატონო,  
მე მშურს თქვენი მშრალი სიყალბე,  
დახვეწილი მანერები  
და გულსგარეთ ჩამოქნილი  
სიტყვების გალა...  
ქალბატონო!  
როცა თქვენ ჩემთან ჩაიმუხლებთ  
და პოეტების მოუწესრიგებლობას  
მიართმევთ ყვავილს  
(მხოლოდ ერთ ყვავილს, ქალბატონო,  
ვარდს ან კესანეს),  
ყალბი იქნება ნეტავ ცრემლიც,  
რომელსაც დაღვრით?!  
კადნიერია ჩემი ლექსი,  
ხომ, ქალბატონო!  
კადნიერია...  
მაგრამ მაინც ნუ გამიწყრებით,  
მე მართლა მშურს თქვენი სიყალბე,  
დახვეწილი მანერები  
და თვალებში ჩაყინული  
ტალღის სიმწვანე  
(ჩემსავით არ ბობოქრობენ  
თქვენში ქარები).  
და, ხანდახან მშურს, ქალბატონო,  
მართალი თუ გსურთ,  
თორემ ჩემს ცრემლში  
მიწა როგორ შემოეტევა.

1995.

\* \* \*

հոգո՞ր ազօցսօ,  
ան մոնաթրեծած  
հօտլա զշշվելո ամ դասածոցացս.  
հալաւ մայլուա...  
մոցօցոնց ձա  
Կրեմլո ամո՞ցացս ցայոնուլ ցոշեծ.  
հա Շերութալա, տաշա առ ցուցո  
մեց Շեքութալու (արշու ուինուն)  
ձա ցիշեցար Ցհոնցոտ -  
Եցեծ լոյժեծ  
Ծաշշվորո Սյոնտիշա ցածացուրինո.  
Եցեծ լոյժեծ մոշակլու Կրեմլո,  
օւց մե...  
ողոնց լոյժեծմա առա,  
յաշլաջերս ամեռեծ հիմո տալուցո  
ձա մասնու, մասնու հալաւոս ցարացս.  
Ցաշումքեծո.  
Ցուցո, ցոյշրոս հիճուլոյեծ  
Ծկութոլու լամեյեծ ցելար ուտեզեն,  
հագան լոյժեծո ծիմա աերեծոտ  
ցածլուցոս նօշսաց օւսակութուրեծ.  
Մե կո հա մրիեծա -  
մեռոնց սոցութուր  
ձա մոնաթրեծա օմշեցնուրու,  
դրու կոշուան Շելու ուեմուն մուտուրեցս,  
ծողմուտ օերիուծա ժշելու գլուրու.  
հա Շերութալա, տաշա առ ցուցո  
մեց Շեքութալու (արշու ուինուն),  
ձա ցիշեցար Ցհոնցոտ -  
Եցեծ լոյժեծ  
Ծաշշվորո Սյոնտիշա ցածացուրինո.

1992.



## აბება შაოლაძელა

\* \* \*

„ბავშვი უცხო ჩანს და შეცვლილი“  
გრიგოლ რობაქიძე

ბავშვი უცხოა და შეიცვალა.  
ბავშვს სიყვარული ალაპარაკებს.  
და, როცა გზაწვრილს მიჰყვება ცალად,  
თავის ორეულს უსმენს არაკებს.

ბავშვი მარტოა და ყველა წერტილს  
ამოწმებს თვალის მშრალი გუგებით  
ხანდახან ღრუბლის სველი მზერიდან  
ფეხთით მოლოდინს ჩამოუგებენ

და იცის, მიწის სხეულს, სენიანს,  
როცა ზეცაში ნახავენ ასულს,  
ბავშვს უწოდებენ მერე გენიოსს  
და სიყვარულზე მოსთხოვენ პასუხს.

1994.

## ეკა ასათიანს

და ჩემი ცრემლით დაიხრჩობა მთელი სამყარო!  
- ეკა! სიკვდილებს ვერასოდეს ვერ გავეჭეცი  
და, თუმცა, გულზე ენძელები გადმომაყარეს  
მაინც წამექცა სიმშვიდის ხე, მაინც წამექცა!  
ეკა! ამ ტკივილს,  
ალბათ, რაღაც სარჩულს მოსდებენ  
თდა სინანულით აურევენ სიმარტოვეში.  
იქნებ ჯობია, დავამსხვრიო სულის გოდება,  
იქნებ ჯობია, ამ სიგიურის როლებს მოვეშვა.  
ეკა! სიკვდილის სცენასავით დუმს საფოთლეთი  
და ფოთლებივით გაუთელავთ ყოფიერება,  
დაუწუნებენ, ალბათ, ახლა ღობე-ყორეთა  
ნარ-ეკლებივით შემოჩვეულ ცრუ დაპირებას.  
ეკა! რითმებიც იფანტება, იქნებ მიშველო,  
როგორ ჰგავს ახლა ეს ტკივილი  
ბავშვობის სიზმრებს,  
შენ დარჩი ჩემში ჭიუტი და თვალებგიშერა  
და ძველი მზერით გაყინული სამყარო იძრა.

და, ჩემი ცრემლით ამოიხრჩო მთელი სამყარო!

1993.



## პარიზის ღლიურიდან

დაგიმახსოვრე. თუმცა განცდა, მე რომ მაწვალებს  
ვერ გადამირჩა გაუხუნარ შინაგან განცდად,  
რადგან სენაზე არეკლილი შუქი წამწამებს  
მოსალოდნელი გულდაწყვეტის

ცრემლებად დასცდა.

იქნება სჯობდა, დამრჩენოდი მარად ოცნებად  
და შენს სასწაულს სველი ხელით არ შევხებოდი.

ხვალ ვიცი, ლამაზ მოგონებად ჩამოცოცდება  
დამე, რომელშიც აღტაცება მიირხეოდა.

ვერ გადამირჩა გაუხუნარ შინაგან განცდად,  
რადგან ყოველთვის მამულავნებლნენ  
ცრემლის თითები

და, მაპატიე, უნებური სიტყვა რომ დამცდა!

ბედნიერი ვარ, შენს თვალებში რომ მივითვლები.

1997.

## ციკლიდან: „ცრემლის ნაფეხური“

ორი სიტყვა ცრემლზე და პოეტზე

მე ვარ ცრემლი, რომელიც  
მეგობრებმა მიატოვეს -  
იმიტომ, რომ ბავშვობა ვერ დატოვა.  
ვიცი, მზარდია ინტერესი,  
როცა ცხოვრებაზე მსჯელობენ პოეტები.  
მე მიყვარს პოეტები,  
რომლებიც ბავშვობას ვერ ტოვებენ  
და რჩებიან ცხოვრებაში  
აუხსნელ განტოლებად.  
მე მიყვარს ყვავილებიც,  
რომლებიც პოეტებს ეჭირათ ოდესლაც,  
მერე კი ქუჩაში ვიღაცას აჩუქეს,  
რადგან არ შეეძლოთ,  
აღტაცება არ გაებნიათ და  
არ შეეკროთ მიწიერები.  
და ხელები... პოეტის ხელები  
მთვარეაკრული და გაცრეცილი,  
მარჯვენა შუათითი აქერცლილი  
(მთვარის სიზმრებისგან)  
მიყვარს, დამიჯერეთ!  
სიზმარი დილამ გამიჩერა,  
როდესაც ჩემი დაჭორფლილი მარტოობიდან  
ამოშალეს მზის აღტაცება  
და განმეორდა რაღაც მარადი...  
ბავშვობას მუდამ სიზმრებს ვპარავდი,  
რომ არ გავეძევებინე თავის სამფლობელოდან;  
ყელზე ბავშვობის სიზმრებმოხვეული,  
თმებზე ვარსკვლავებით,  
ხელში საკრავით, რომელიც



## ანთო შარლაშვილი

იასამნის ჩურჩულს გამოსცემდა  
ვდარაჯობდი გულუბრევილობას  
და ცხოვრებაში ვძრუნდებოდი  
ჭრელი პირობით,  
რომ არასოდეს შევმტვერავდი  
შემოქმედის დიდ მარტოობას,  
არ უარვყოფდი მარადიულ შინაგან გვემას...  
და დღეს, გაზრდილმა მეგობრებმა  
უხმოდ დამტოვეს  
მარადიული ბავშვობის და სინათლის გამო.

1996.

\* \* \*

იმ სურვილებით უნდა გავქვავდე,  
ხეს რომ დაადნა წვიმის წვეთებად...  
ყველას წვიმების მადლი გფარავდეთ –  
მე... ჩემი მადლიც მეიმედება.

და გდარდობთ. და ეს შეშლილი მარტი,  
როცა ტკივილებს აცლის მზეტიალს,  
მე გამოვდივარ სახლიდან მარტო  
და დაღლილ ცრემლში ვიწყებ სეტიალს.

1994.

\* \* \*

ՄԵ ՍԱՐԿՈՅՑԱ ՎՈԼՇԱՎԼԵ ՀՎՈԱՆ,  
ԼՈՋՈԲԻՆՔԵ ՀՎՈԱՆ, ԼՈՎՑԱՔԵ ՀՎՈԱՆ,  
ԻՇՐԻՇԽԼԵՑՏ ՎԼԵՑՏ ԾԱ, ՎԼԵՑՏ ԾԱ ՔԱՐԵՑՏ  
ԻԵՄՈ ԾԱՌԼՈՒԼՈ ՍԱԵԼՈ ՖԵՎՈԱ.  
ՄԵ ՄԻՆԴԱ, ՍՈՒՊՐՈՎԱԾ ՎԵՄԵՏԵՐԻՎԼՈ ՄԵԹՈԾ,  
ՄԵ ՄԻՆԴԱ, ԿՐԵՄԼՈՍ ՍՈՍՄՍՏԵՍ ՎԳԱՎԴԵ,  
ԾՈՒԹԼԵՑՏՈՍ ԾԻՒԹԼՎԱ ԳԱՆՏՈՒԱԾՍ ՄԵԹՈԾԸ,  
ԾԻՐՈԱԼԵՑՏ ԾԱՀԾՈ... ԱՇՈՆԵՑՏ ԾԱՀԾԵՑՏ  
ԾԱ ԵՐԻՑՈՒԼԵՑՏ ԾԱԼԼՈՒԼՈ ՄԻՌԱ  
ԾԵՐԺԵՎԱԾ ԾԱ ԿՎԵՆԵՍՈՍ, ԿՎԵՆԵՍՈՍ ԾԱ ԾՈՎՔԻՐՈԾՏ:  
ԻՆՄԵԼՈ ՍԵՎՃԱ ՄԵԴԵՑՏԱ ՎԻՌՎԵՑՏ,  
ԱՆ ԲԻՇԵ ԾԱ ԾԿՈՎՈԼԾ, ԱՆ ՄԵՐՎԱՐՈՍ ՄՈՎՐՈԾՏ...  
ՄԵ ՍԻՆԱՆՇՈՒԼՈՒԾ ՎՈԼՇԱՎԼԵ ՀՎՈԱՆ  
ԾԱ ՇԵՎԵՔԻԵ ԾԱՔԱՑՐՈՒԼ ՄԻՄՌՇԵՔՏՏ,  
ՎԼԵՑՏ ՎԼԵՑՏ ԾԱ, ԾԱՎՈՍ ՄՈԱՎԵՏ,  
ՄԵ ՄՏՈՄԵՇ ՎԵՄՆԵՎԱՑ ԾԱ ՎԵԼՈ ՄԻՌՇԵՏ  
ԾԱ ԵՐԻՑՈՒԼԵՑՏ ԾԱԼԼՈՒԼՈ ՄԻՌԱ  
ՕԿԵՆԵՑՏ ՀԱԼԱՎ ԾԱՆԵԹՈԾՏՈՍ ՄԱԳՎԱՐՏ,  
ՄԵ ՎԻՌԵՔԵ ՎԵՐՆՈՆԱՑ ԾԱ ՄԵԹՈԾ ՅՈՎՎՈ  
ԾԱ ԻԵՄՈ ԿՐԵՄԼՈ ՍԵՎԱ ԿՐԵՄԼԵՑՏ ԱՆ ՖԵՎԱԾ,  
ՍԱԱԾԱՆ, ԻՆՉՈՐ, ԼՈՋՈԲԻՆՔԵ ՀՎՈԱՆ  
ԿԱՐԳԱՎԾ ՍԵՎՇՈԾ ՄԵՐՎԱՐՈՍ ՍԻՆԱԹԼԵՏ  
ԾԱ ԻԵՄՈ ՍՈՍՄՍՏԵՏ, ԿՐԵՄԼՈ ԻՆՄ ՖԵՎՈԱ,  
ԻԵՄՈ ՍԵՎՇՈԾ ՄԵԹՈ ՑՈՆԱԼԱՐՏ  
ՎՇԿՐՈՑՈ ԵՎԱԼԵՑՏ ԾԱ ՄԵՎԵՐԺԵՎԱՑ ՎԵԼՔԵ  
ՎԻԿՐԵՑՏ ՀԱԼԱՎ ՍԻՆԱԹԼՈՍ ՄԱԳՎԱՐՏ,  
ԾԱՄՎԱ, ԵՎԱԼԵՑՏ ԱՐԿՈՅՎՆԱԾ ՄԵԹԵՐՏ  
ԾԱ ԻԵՄՈ ԿՐԵՄԼՈՒԾ ՍԵՎԱ ԿՐԵՄԼԵՑՏ ԱՆ ՖԵՎԱԾ.

1995.

ანქა შალვაძელა

\* \* \*

ასეა! ალბათ, გაგიუება ღირდა  
ცრემლისთვის,  
ნულარცრას მომთხოვ ზარმაცხა და  
ძილისმოყვარეს,  
არ შემადარო ყვავილები ჩვენი  
ტყემლისა -  
მე ფოთლებს ვვავარ -  
ქარებმა რომ კართან მოყარეს.

ნულარცრას მომთხოვ!  
იმ წარსულში ტკივილი მტკივა,  
ნურც გაიოცებ ჩემი ლექსის  
- „უდროო სიბრძნეს“...  
ადრე თუ გვიან მონატრება  
სულამდეც მივა,  
თუკი დაღლილმა იმედებმა  
სიმშვიდე იგრძნეს.

1992.

\* \* \*

ՄԵ ՍՈՍԱՆՈՍՑԵՐ ԿՐԵԹԼՇԻ ԲԱԹԻՉՈՎԵՍ  
մահացած օսկեան լուսակատ մշուշին...  
ԺԵՐԵԲԸ ասէկուատ սզելո սարտովե,  
ցառուեծուատ եմուտ դա օյժուտ  
հուպա մոցեգու դա հեմո միջերա  
ցարտարսուալ նուլլի բացտովե...  
ՄԵՐԵ ՀՅԵՒՋԵՅԵՍ մուտապես ծցերա,  
ԺԵՐԵԲԸ ասէկուատ սզելո սարտովե.

1992.



## თითები სამყაროს ხახაში

–მე ვიცი, დღესაც ლაქები გზარავს...  
მავრამ რა, როგორ დაანახებ ცრემლებს სამყაროს!  
შემოაყარე, სულს ფოთლები შემოაყარე,  
თორემ ცხოვრება გადათელავს შენს უიღბლობას  
და გამართლება დაგამსგავსებს ყველას რაღაცით!  
მე მჯერა, ახლაც სიზმრებს დააცდი,  
ფეხის ფრატუნით როდის მოვლენ  
შენთან ზღაპრიდან  
და სიყვარულის საგალობელს როდის იმღერებს  
სული მზესაგით ნათელი და მიუკარები...  
ქარს ბავშვობაში აბრუნებენ შენი თვალები  
და ქარიც თვალებს რა უბრალოდ ესათუთება...  
შეხედე, ქარში ირწევიან ნორჩი თუთები,  
შენი თუთები  
დიდი ხსოვნის შავი თითებით,  
ისევ გაღმერთებს (რა გაშინებს, რატომ ფითრდები),  
თუთების ჩრდილში შეყუული პატარა ია...  
შენს მარტოობას ახლაც დიდი ლოდინი ჰქვია  
და, ცხოვრობ ახლაც,  
ის ცრემლში მფერქავ მითებით.  
ნულარ ირთვები, სევდის ფარჩით ნულარ ირთვები...  
ისედაც ყველას თვალში ხვდება შენი ცხოვრება,  
თუმცა, წერისგან დასისხლული სუსტი თითები  
ჰყავს მონატრების უჩვეულო განმეორებას  
და უამით-უამზე მოვარდისფრო შენი თითები  
ლოცვას უგზავნის დალაქულ და შეშლილ სამყაროს  
და ზეცა თვალებარეული ჭრელი მითებით  
შენი თითების სინათლეზე იმედს ამყარებს.

1996.

## მე და მინა

\* \* \*

სული აბორგდა.  
დაიკაწრა სიცრუის ბარდით,  
ეს სიხარულიც ჩამინაცრეს  
მიწიერებმა...  
ო, მე თუ არა, ვინდა იცის,  
რა არის დარდი,  
ან დარდის მერე  
აფეთქილი ბედნიერება.

ო, მე თუ არა,  
ვინ უგზავნის ვარსკვლავეთს ამბორს  
ანდა დაღლილი სიმარტოვის  
ვინ იცის ფასი...  
იქნება მკერდი ამოეწვა  
მზისაგან თაბორს  
ან იქნებ, მიწამ შემოიძრო  
გულგრილი გარსი.

რა არის მიწა -  
ჩანაცრული იმედი ეგებ  
(პარნასისაგან სავალი გზა  
აღარ შემცირდა...)  
იქ, ზეცის მიღმა  
ფერხთით თეთრი ფოთლები მეგო,  
მერე დავბრუნდი  
და დაისრულ სულზე შემცივდა.

სულზე შემცივდა...  
მომიტევეთ, თეთრო ფიფქებო,

## ანთო შარლაშვილი

რომ სიმარტოვე  
თქვენზე მეტად გავითავისე...  
ეჭა, იმედის კოცონებიც  
ისე მიქრება  
რომ სული დიდი ოცნებითაც  
ვეღარ ავივსე.

ვერ მოვასწარი ვერაფერი...  
ღრუბლის სიფითრე  
იმ ძველ სინანულს მიემგვანა,  
როგორც ყოველთვის...  
შეუცნობელის სიკაშკაშე შემომაგებეს  
იმქვეყნიური სიმშვიდიდან  
როცა მოვედი.

\* \* \*

მე მოვდიოდი ძალიან დიდხანს...  
მიწა გულდინჭად მიწვდიდა ხელებს,  
მერე სიმშვიდის მიზეზი მკითხა  
და მიანარცხა ტალღები ხმელეთს,  
მერე ეკლები დამიგო ფეხთით  
და ნიშნისგებით გადიხარხარა,  
ხალხი დაღლილი „ჩემით“ და „მეთი“  
უმანკო სულზე შემომახალა  
და ისე უცებ გამძარცვა ხალხმა,  
ისე დამგესლა შურით და ღვარძლით,  
სულში სიმშვიდის ნერგები გახმა,  
ვემსგავსე ყვავილს - ოთრ ფურცლებ გაცლილს  
და სიმარტოვის სევდიან გედებს  
ჩემივე ხელით ვაჩუქე სული...  
რად მპირდებოდით სიზმრების ედემს,  
თუ წინ უფსკრული მელოდა კრული.

\* \* \*

„მე გექუთგნი რასას, რომელიც მღერის წამებისას“  
ჩემბო

სიმღერა? დალლილ ფერებს მივტირი,  
თორე წამება ისეც დიდია,  
ბუუტავს კანდელი, თეთრი ღრუბლები  
ზეცის თავანზე კრძალვით მიდიან,  
მიდიან... თუმცა უხმო ვედრებას  
უფრო მიაგავს მათი რონინი,  
ვიდრე სიყვარულს და ალზევებას  
არყოფილის და გამოგონილის.  
- „მე კი არ მგვანან“, - ვიტყვი ჩურჩულით  
და შევისწორებ თოვლის მანტიას,  
ცრემლშერეული დარდის მიზეზი  
მიწისთვის ბევრჯელ განმიმარტია  
მაგრამ რა... როდის იგებდა მიწა  
მარტოსულების მელანქოლიას,  
მზის ქვეშ ყოველთვის უგრძნობლად იწვა,  
უსულოდ...  
თუმცა, როდის ჰქონია  
სული, რომელიც უსაზღვრო ტკივილს  
უსაზღვროების სილალით იტევს...  
მომნატრებია უნილბო ღიმი  
და პოეტური „გრალები... ინტე...“  
და ვებრძვი მიწის სხეულს ქუსლებით  
და მზარავს ხშირად მასთან მსგავსება...  
რად მეჩვენება ასე უგსები  
გამიწებული ყველა არსება.  
თუმცა რა... რატომ უნდა მიკვირდეს,  
ეს მოჩვენებაც უამიერია,  
ხომ კარგად მახსოვს, ნაცრისფერ მიწას  
ოდესღაც ზეცის ნამიც ერია,



## ამით შეოლებები

მაგრამ ისეთი უსულო იყო  
ნამიც მიწასთან შეერთებული  
როგორც იმედი - მიწიერების  
დაუდევრობით ჩანაცრებული.  
ჩემი ოცნება სიზმრის ფერია  
და სიზმრებიდან იღებს სათავეს,  
რად მომიფინეთ კატაბარდებით  
კიბე, რომელიც ვერ ავათავე.

\* \* \*

უთხარით რამე ღამეულ ფიქრებს,  
თორე ფიქრივით შემოგადნებით,  
ცნობისწადილი ცოდვაა იქნებ -  
ამოყელილი რძისცერ ვარდებად.  
დაკითხეთ მზისგან დამსკდარი მიწა,  
დაკითხეთ მიწა უმკაცრეს მზერით,  
რატომ არ აწვდის სინაზეს წიწვებს  
ან რად აქვს დარდის სუნი და ფერი;  
დაკითხეთ მიწა და ბრძა გულები  
ენძელებივით წიგნში ჩატოვეთ,  
რომ ჰეგავდეს ერთურთს აგებულებით  
ყველა სინათლე და სიმარტოვე;  
დაკითხეთ მიწა და უსაშველოდ  
ჭრელი სამოსი შემოახიეთ,  
მერე უსულოდ ქცეული სული  
თალხი სიზმრების მტვერში გახვიეთ,  
რომ ყველაფერი იქცეს წარსულად  
და წარსულივით გამოგიგლოვოთ  
(ფერებზე ფიქრი ვინც დაასრულა,  
ბრძად ჩამოშორდა ლამაზ იგავებს)...  
რა სისულელეს შეასკდა ვნება -

ტაძრის კედელზე ამოკაწრული,  
ალბათ, სიზმრებში პოულობს შვებას  
იმ იგავებით მთვრალი წარსული,  
იმ იგავებით მთვრალი წარსული  
დათალხულ სიზმრებს აგროვებს, ალბათ  
და ცისარტყელის ჭრელი ასული  
ხმელ ლუკმას ზეცის ცრემლებში ალბობს.  
არ მკითხოთ არცრა! მე ახლა გულქვა  
ცრემლის წვიმაში უნდა ჩაგტოვოთ,  
რომ შემოვიძრო სველი სულიდან  
ის სიზმრები და ის სიმარტოვე,  
უფლებას გაძლევთ, იკივლოთ დიდხანს  
და წაფრატუნდეთ უცნობწადილოდ,  
რომ ქვაზე უფრო ქვადქცეულ სურვილს  
შურისძიების სისხლი ვადინო.

\* \* \*

... ვინ გაყო, ნეტა, ზეცისგან მიწა,  
ვინ დაამძიმა, ანდა, ცოდვებით.  
მე ვიცი, როცა სიკეთე იწვის  
ალარასოდეს განვმეორდებით.  
მე ვიცი, როცა სიშავე თენთავს  
ადამის ძეთა ცოდვიან სხეულს,  
ალარას შველის ლოცვაი ბერთა  
დაზაფრულ სულის ხლართოვან ხვეულს.  
მე ვიცი, ვიცი, რომ ცრემლებს ბადებს  
მწველი ტკივილი ძველი იარის  
და სულის კივილს სიმძაფრეს მატებს  
მიწიერების ორომტრიალი.

\* \* \*

იყივლე ახლა, რომ მოგაბეზრეს  
თავი ღანდებმა ნაბჟუტურევით,  
რომ იდუმალად ასვლა მთვარეზე  
ალარ გაოცებს დაღლილს სრულებით;  
იყივლე ახლა, რომ მოგონებებს  
გინდა გაექცე და ცრემლი მალო,  
რომ, როცა ვიღაც შეფარვით გიმზერს,  
ხდები მკაცრი და უზომოდ ცხარობ;  
იყივლე, თორე მიწა იძრება  
და დაგეხვევა სხივთა ამალა  
და ძველებურად გაგიჭირდება  
არარსებული ნატვრის დამალვა.  
იყივლე, გესმის?  
შეაკრთე მიწა,  
შეაკრთე, თორემ  
ცოდვა დაბუგავს.  
შენ რა, რა გიჭირს -  
ძეცის მკვიდრი ხარ,  
მიწიერებს კი სული რას უგავთ -  
შეხედე!  
შეკრთი!  
კივილს უმატე  
და მშვიდ ალიონს შეხვდი ხარხარით,  
თვალი შეავლე ნაცნობ სურათებს  
და დღე - მრავალჭირგადანაყარი  
ქარს მიადარე, ქარს მიუტოლე  
და შეიფერე მასთან მსგავსება,  
ოლონდაც... ოლონდ არ დაგავიწყდეს  
სიმწრის ფიალის ცრემლით ავსება.

\* \* \*

იყო ცრემლები და იყო სევდა...  
ნუთუ ქაოსით გამოიფიტე,  
მოდიოდი და ფეხდაფეხ გდევდა  
ჩამოგლებილი ღრუბლის სიფიტრე.  
მოდიოდი და ქარისფერ ქარებს  
ტანჯული სულის კვნესით ართობდი,  
მოგაცილებდა დალლილი მთვარე -  
დალლილი მიწის უნიათობით.  
ჰეი, ბეჩავო, ვინ მოგისაჭა  
უსაგნო სევდა და სიმარტოვე.  
ვერ შეასმინე სამყაროს აჭა,  
ვერ შეასმინე და მიატოვე  
მიწა, რომელიც მდუმარედ გზრდიდა  
და სული ლექსით დაიპურადე.  
მიაყურადე ახლა სიმშვიდეს,  
სულის ტკივილსაც მიაყურადე,  
რომ ულამაზო ასოთა მწკრივში  
შეიგრძნო შენი ყოფის სიბეცე.  
რა შუაშია არყოფის შიში,  
ყველას თავისი ბედი მიეცეს.  
მიეცეს ყველას თავისი წილი  
იმედიცა და უიმედობაც...  
ხომ კარგად იცი, ადრე თუ გვიან  
სული სიყვარულს გადაეჭიდობა  
და მოგძებნიან მერე სხივები  
მიწის კალთაში საწყლად შეყუულს.  
სხვა მონატრებით მოგინატრებენ  
ნაცნობი ხმებიც ზეცის თალიდან,  
გაგიშიფრავენ: შენი სიცოცხლე  
რატომ ღირდა და რატომ არ ღირდა.  
იქნები მშვიდი და უზრუნველი  
და მაინც, როცა სევდა მოდგება,

## ამით შოთა რეზა

ჩამოგლეჭილი ღრუბლის სიფითრით  
მიწის სიცივე მოგავონდება  
და ნაბიჯ-ნაბიჯ, და სუნთქვა-სუნთქვით  
მოიზომება ცრემლის ფართობი,  
გამოგაცილებს დალლილი მთვარე,  
დალლილი მიწის უნიათობით.

\* \* \*

შენ გულს ტოვებდი, გულს ტოვებდი იმ სიჩუმეში.  
იყო ქარწვიმის ნაკვალევი ფანჯრის რაფაზე  
და ანათებდა მოგონებით მთვრალი კანდელი  
სასწაულებით გადაღალულ ფართო დარბაზებს.  
შენ გულს ტოვებდი.  
გონჩაბინდულ აჩრდილთა რიალს  
ეგებებოდა გულგრილობა მიწისმაგვარი.  
რა შუაშია, პოეტები რამ გადარია,  
ან კაცთა მოდგმა რა სატანამ გადააგვარა.  
გადააგვარა...  
თუმცა, ეგებ ცრემლიც არ ცრემლობს,  
როცა აჩრდილებს დავიწყნიათ ფერთა ბროლება  
და იმედჩამშრალ მიწისკაცთა უაზრო ლოდინს  
ამოუგსია უბეები ცხელი ტბორებით.  
ნუ გაექცევი იმ მოლოდინს - მიწა მიწა  
მოლურჯო თაღებს მიეკარ და ხელი შეახე,  
თორემ ამდენი საზრუნავით დალლილი სული  
ცხელი ცრემლების უბიწობას ვერ დაინახავს.  
ვერ დაინახავს, ახლა სხვაა ქარის ქილიკი,  
დაბორიალებს მზედავსილი ნასმურევივით.  
შემორჩენიათ ძველი სევდა სიზმრის ბილიკებს  
და ოვით სიზმრებიც ერთმანეთში აურევიათ.  
სხვაა მწუხრისას მონატრების ამოფეთქება

ან ქარ-წვიმებში ჩაბნეული ფერთა სინაზე.  
ცხადია, მიწა უშვილძიროდ გადაეგება  
თუ შებზარული გულის კარი გადაირაზა.  
ცარგვალსაც ცრემლის ფლასებივით  
შვენის სიმშვიდე  
და სასწაულით მოღალული იდუმალება.  
იმ ჩამოცრემლილ მოგონებებს ნუ მოირიდებ,  
ნურც ქარის კივილს ნუ მონათლავ რამე ზმანებად.  
გული დატოვე და მოსასვლელ ცრემლის ლოდინში  
მიეკარ ფერებს, მიეკარ და არ აღრიალდე.  
მერე წარსულეთს მოუხადე დიდი ბოდიში  
და მოვარდისფრო ბილიკებზე წაბორიალდი.



\* \* \*

რაღაცა ხომ არ შეგვეშალა,  
ჩემო ბატონო,  
ხომ არ დავტორეთ  
სტრიქონები აურზაურით.  
ფერთა ფერების დალოცვაში  
არ მიმატოვოთ,  
არ გამაგონოთ  
მიწიერი მიწის ხმაური.  
ჩემო ბატონო,  
გესმის? გესმით?  
როგორ ვმკაცრდები...  
მე მიყვარს მიწა...  
მიყვარს, მაგრამ  
თანაც არ მიყვარს.  
თქვენ ვერ გაიგებთ  
ჩემს სიყვარულს და გატაცებას,  
თქვენ ვერც ტკივილებს ვერ მიხვდებით

## ანში შოთა რეზა

ალბათ, ზეციურს.

რა შუაშია დაცემა ან ზეალტაცება,  
მე უნდა თავთან მზის ჰამაკი გადამერწიოს.

რომ შევიყვარო მიწა

როგორც გამზრდელი დედა,  
რომ მიმწუხრისას მოვინატრო

ლამაზი სევდა,

რომ დაღლილ ფერებს

უფერობა ალარ დავწამო,

რომ ურწმუნოებს მწუხრის ლოცვით  
ღმერთი ვაწამო....

მიწა...

ო, მიწა...

ის სილალე ქარს გავატანე,

მე კარგად ვიცი,

ცრემლებს ბოლმას რატომ ატანენ,

მე კარგად ვიცი

ბალახები რატომ კვნესიან

როცა სთელავენ

მიწის გულზე მიწიერები.

მთელი წელია,

სულს ეჭვები შემოესია

და მაინც, მაინც,

მიწა ურუოლავს ბედნიერებით.

1991.

## განვყობილებები

\* \* \*

და განიცდი, რომ გვირილების ნაცვლად  
წერ ცხოვრებაზე, რომელმაც დაგლალა და  
დამაკავშირებელ სიტყვებსაც  
ხშირად ხმარობ ნაწერებში.  
სიზმრები კი ამოშლილია  
შენი ხსოვნის ზედაპირშემოცლილი  
სიღრმიდან  
და გვშინია, არ დაემსგავსო გოგონებს,  
რომელთაც სამკაულები იტაცებთ და  
რუსთაველზეც თავის მოსატყუებლად სეირნობენ...  
ხოლო იმ მხატვარს -  
შენი მზერა რომ დაიჭირა და ფერებად აქცია,  
გინდა პოეზია გაუგზავნო და ღიმილს იმეტებ,  
და ღიმილს იმეტებ, რომ  
კიდევ ერთი ლტოლვა მიისაკუთრო და  
გაზრდილი ბაგშვის დაბნეულობით და  
ჩამოუყალიბებელი მრწამსით  
შეხვიდე ცხოვრებაში და დაიგიწყო,  
როგორ მარტოობდი.

1995.

\* \* \*

შველაფერი ცრიატდება,  
როცა ისედაც ნათელია, რომ  
პოეტები გვიანობამდე რაღაცას წერენ და  
მარტოსულებს ძალიან უჭირთ.  
ხანდახან იკარგება მთვარე და  
შეურვებულები ბორიალობენ  
თეთრი სახლის უფერო კედლებში,  
რათა ფეხით გათელონ  
გაუხეხავ პარკეტზე  
სოხანესავით დაფენილი მარტოობა და  
გულში ჩაიბრუნონ კვნესა -  
კვამლივით გამტარი და დაუნჯებული.

შველაფერი ცრიატდება.

1995.

\* \* \*

հալավ մզելո ճացօծիկոնդեծա,  
հուպա წյացածածան ցամոյեմոծ  
Շեմյորտալ ծալլոծաս ճա  
ծոլու წյորտոլս ճասցամ,  
հոմ տացո արացօս մռածեթրո  
ցայտացեծելո սայցելուրեծոտ.  
հալավ մզելո ճացօծիկոնդեծա,  
հուպա շակլցեսսա ճա շմզելցեսս շորուս  
Շեահրուցեն մահածածոծուս սահոմիս,  
հոմ համռասեան Շենոծան წյամռուլո  
մգուլարյ Ծկոցոլցեծո  
ճուզ կոտեցուսնունաձ,  
հոմելսավ ցեղորդեծաս շրմուցեն.

1994.



## აბება შაოლაძელია

\* \* \*

შენ არ წახვიდე იმ სამყაროს  
დალაქული სიყალბისაკენ,  
იქ იცინიან, ხმაურობენ  
და მარტოობა ისე ესმით,  
როგორც საგანი,  
რომელიც შეიძლება დაიმსხვრეს და  
ფანჯრიდან გადაიყაროს.

არ წახვიდე იმ სამყაროს  
დალაქული სიყალბისაკენ.

1993.

\* \* \*

როდის უფეთქავს დედამიწას გული -  
გამთენისას თუ მიმწუხრისას?  
ან როდის კვდებიან  
ღაწვჩამოხკილი მოლოდინები...  
მე სხვა გზით წავალ,  
სხვა გზით წავალ,  
რომ სინანულებს  
ვერ სთხოვოთ ახსნა-განმარტებანი.  
მე სხვა გზით წავალ.

1995.



\* \* \*

რას დაინახავ ჩემს ცარიელ თვალებში,  
ჩემს ლოდინსა და სასოწარკვეთაში,  
ან იმედში რას დაინახავ...  
ვეღარ მეტყვიან მიწიერ კომპლიმენტს  
მტვერში ამოგანგლული ფოთლები,  
ვერც სიყვარულის საგალობელს  
ვერ მიმღერებენ და წერტილები... წერტილები...  
მოლოდინში ჩარჩენილი იებივით გადაცრეცილნი  
და სიყვარულები... მზემოკიდებულნი და  
დაჭორფლილნი  
და ლოცვები... მხურვალენი და უნორჩესნი -  
თვალებიდან წამოუსვლელნი და  
თვალებს ვერგაქცეულნი...  
რას დაინახავ და როგორ მეტყვი:  
ყველაფერი იებივით ითელებაო.

1994.

\* \* \*

მე უკვე მივიცვალე!

და დავიწყებული ღამის კუთხეში  
მიასვენეს წრეგავლილი უსხეულობა.

მე უკვე მივიცვალე.

უნიჭო მიგნებებს, დათელილ ფოთლებს  
შეახმა ჩემი ხსოვნა და ბავშვობა -

ჩემი ბავშვობა

(რომელიც გულიდან მკაცრად მოვიგლიჭე და  
ცხოვრების აუტანელ მტვერზი შევხეტიალდი)

იდგა ზღურბლთან და

დასტიროდა ჩემს მიცვალებას.

მე უკვე მივიცვალე.



1995.

\* \* \*

მე დამამსხვრიეს

და ოვალები, რომელიც

სველ ქვიშაში ჩაიკარგნენ,

ალარ მიძებნია.

და ხელვა დაგკარგე.

1995.

\* \* \*

მე ფერი არ მაქვს.

უცელაფერი რეალობით შეთითხნილია  
და მტვერწაყრილი.

უნდა აღგიქვათ.

უნდა ბოლომდე გავითავისო,  
რომ სიახლოვე უცნაური სიშორეა  
და უცელას გკარგავთ.

მე ფერი არ მაქვს

და ვწერ უფერო,

უსუნო და

დიდსულა ლექსებს,  
რომლებიც მზერას გაურბიან,  
მაგრამ ვერასდროს მიხვდებიან,  
რაა გაქცევა.

და ამ დაღლილ და

დამძიმებულ ყოფითობაში

ჩემს სულს ძებნით და

უარყოფით ვუახლოვდები.

და, მგონი, ფერი,

მგონი ფერიც შემოდის ჩემში.

1994.

\* \* \*

შემიყვარდა და მარტოობაში შემასახლეს,  
ძალიან უნიჭოდ შეთითხნილ მარტოობაში  
და დამეჩაგრა გენიოსი სიყვარული.

1996.



\* \* \*

... და პოეტი, სხვების თვალის ასახვევად  
განგებ იწყებს საუბარს სამკაულებზე,  
რომ მთავარი ტკივილები დაფაროს.  
იცის პოეტმა, რომ შველა არ არის,  
არც სიყვარული არსებობს ისეთი,  
ის რომ ოცნებობს და...  
რა უბედურია პოეტი მიწაზე -  
როცა სიმარტოვიდან გამოდის.

1995.

# აბება შაოლაძელა

\* \* \*

ე.ა.-ს

როგორ მარადიულად დავისაჭე -  
ჩემი შეღამებული ლოდინიდან  
შემტკრეული ტოტები და  
ფოთლები დამრჩა  
და ისე, ისე, ისე განვიცდი...  
მივატოვე მეგობარი, რომლის სუნთქვა  
იასამანს მაგონებდა გამთენისას და  
საყვედურიც შეცნობილად შემოვიზნე საფეთქელზე  
და ავტირდი.

თოვლი იყო პირველყოფილ გრძნობასავით  
მოფართქალე და ჩიტის გულივით მშიშარა  
(თოვლის ქვეშ მიძინებულ იას ვგრძნობდი).  
და ჩამოვჩექი.

და ლტოლვას, მარადიულობიდან წამოსულს  
შევაჩერე მარტონბის დამფრთხალი სუნთქვა.

როგორ უტკივილოდ დავისაჭე.

1994.

\* \* \*

ga'mo'it'i're'bs ga'nto'ia'ds m'na'te,  
gi'ta'ra'c sa'yu'ga'rk'e'l dia'cu's su'ra'as.  
ra'mde'n dia'ya, ka'te'bta'n ga'te'z,  
ta'g'z' mo'ta'la'k ta'g's'a'l m'k'ra'g's.  
sh'erm'o'ek'is'na u'p'ye'bs se'g'da  
da ki'mo'ma's' cu'k' m'lo' 'ye'pu'ida'n,  
ch'la'pa'ri's g'mi'ri'vo'it a'mt'k'i'vo'da fe'r'di  
da m'nu'ca'k'pa'a'k m'k'ra'eb'z sh'erm'pu'vo'da.  
...m'j lo'nu'vo'eb's o'se'g ta'g'i'la'n go'ri'yu'eb  
(j'go'au'ge'ni'ol's ga'v's'e'b o'k'ra'ol's fu'l'u'r'e'bi'ot),  
ra u'mo'ri'yu'a'l'o' ga'da'i'vo'ri'yu'eb's  
ta'nu'g'lo' ri'z' sh'li'li' na'yu'k'u'r'e'bi'.  
a'nd'a, 'ye'pu'ida'n m'no'na'pa'ri'eb'o  
ki'mo'ta'la'k'u'l'o lu'ru'k' lu'ru'k' s'i'ba'k'ne';  
sa'i'ot ri'z' vo'li'ne' ch'la'pa'ri's g'mi'ri'eb'o,  
nu'tu' k'li'lu'ga'ta s'i'yu'a'l' o'g'ra'k'ne's.  
sa'i'ot ri'z' vo'li'ne' ch'la'pa'ri's g'mi'ri'eb'o...  
go's sh'ea't'ru'g'e's fe'r'e'bi's ta'g's'k'ma'...  
m'k'i'li'de g'ra'k' n'ra'k' ga'mo'tu'it'i're'bi'ot  
m'j s'ke'u'l's dia'li'di b'ra'k' cu'k' a'g'k's'e'n.  
da'a'ra'ri'g'e'b'e'n ga'mo'k'ru'lu' g'u'lu'eb's,  
r'om'd dia'a'l' ri'oi'k ta'g'i' fu'a'te'ra'g's...  
hi'z'li'li' ga'la'ga'ns a'ru'vo'it u'z'li's  
na'te'lu' ri'z' sa'lu' cu'p' i'li'li'  
da sh'i'ne'ra'k'e'go m'k'ra'k' sh'li'li' o'p'u'r'k'u'r'e'ba  
s'a'f'li' ga'v's'e'b's ma't'l'o.  
s'ma'la'mo'ri'g'di'li' dia dia'g'e' sh'i'li'  
hi'ems m'i'ri'-s'ke'u'l's go'la'cu' fu'a't'ra'g's  
da cu'k' m'a'k' m'a'k' h'ri'k' b'ra'k' m'na'te's,  
da i'g'a'ri'k'e'ba y'ye'li' k'i'vo'li'ot:  
hi'ems m'i'ri'-s'ke'u'l's go'la'cu' m'a'k' m'e'g's,  
go'la'cu' m'a'k' m'e'g's s'ma'la'mo'ri'g'di'li'!

1992.

## გული — დაგლეჭიღი ქიფონია...

ოი, დანგრეულო ციხიონი,  
ოი, ჩაწიხლულო ისტორიავ,  
შავად შესუდრული მოგონება  
ნუთუ ცრემლიანი სტრიქონია.  
როდის გამოძერწეს აგრე მკაცრად  
შზერა-სირცხვილისგან ალანბული,  
ჩვენმა პირველობაშ დაგვამარცხა,  
გული - მტევანია დანაწური.  
რად არ დაგვიფარე, ღვთისმშობელო,  
ცოდვილთ ცოდვა რატომ მოგვამატე,  
ალარ განირჩევა ჩვენდა ჭირად  
ერის ერთგული და მოღალატე.  
რიხით ხარხარებენ მიონები,  
გული - დაგლეჭილი ქიტონია...  
ვაი, დანგრეულო ციხიონი,  
ვაი, ჩაწიხლულო ისტორიავ!

1992.

\* \* \*

ვაიმე, დედა, ჩემს საქართველოს  
გასერილ გულზე დაადგეს ფეხი,  
უშნო ქონგურებს შეფარვით ვუმზერ,  
ტირის ტირიფი, კანკალებს ვერხვი.  
გეთსიმანის ბაღში დაცვენილ  
ლოცვებს კრეფავენ მოციქულები,  
გალავანს გარეთ მოღუშულ ჩრდილებს  
ჩაშავებიათ დარჩით გულები.  
ვაიმე, დედა, კვამლის ბოლქვები  
დღეს მტერ-მოყვარის გარჩევას გვიშლის  
და ლოცულობენ თეთრი მოგვები -  
ცრემლი ულევი, თვალები გიშრის...  
ვინ გაამაგრებს საყდრის კარიბჭეს,  
ვინ მოილოცავს ხელთუქმნელ ხატებს...  
ჩვენს ქორ-ჭალარა ბიჭებს ანიჭე  
მოუდრეკლობა, ვითარცა მართვეს.  
უხმოდ დიოდე, ნაენგურალო,  
რა ბედენაა ხმაური ახლა,  
სატისმტვირთველის დაკოურილ ბეჭებს,  
ვიცი, საკმევლის სურნელი ახლავს.  
ვინ შეაგებებს, რა კითხვა უნდა  
ღრმად შემოლეწილ ალაყაფს, ქვა-მკერდს,  
ეგება, ცოტნე-ბიჭი დაბრუნდა,  
წამოიზარდნენ ლეკვები ალგეთს.  
ეგებ მოსწყინდათ შეთორილ ლანდებს  
დუმილი - ძალლის თავზე საზარი  
(მხსნელს საუკუნე შეფარვით ბადებს  
და ჭრილობების ნუსხას აბარებს).  
ამ მოურჩენელ იარებს ვჩივით  
(ვიღაცა იცმევს დაძენძილ ზარადს),  
გჩერიოდეს, დედა, ეკლიან გზაზე  
სიმართლის ფეთქვას ვიფარებთ ფარად!

1991.



## ანდრიუს შეკვეთი

\* \* \*

გიცან და მაინც ვერ გიცან თითქოს,  
ისე მიმტყუნა მეხსიერებამ.  
პოეტის ტვირთი სიცოცხლეს ითხოვს,  
კმარა ცრემლები და გახელება.

მოიტანს ქარი ატმის ყვავილებს,  
სიონის ახლოს ჩავიმუხლები,  
საკმევლის სუნი ფიქრებს ამირევს,  
ცრემლად დადნება მზეც - ხელუხლები.

და, ამოხეთქავს მეხსიერება:  
„გარნა, ქართველნო, ძილი განვიფრთხოთ!“  
კმარა ცრემლები და გახელება -  
მამულის ტვირთი სიცოცხლეს ითხოვს.

1989.

\* \* \*

ის ისტორია -

ჩვენივე ხელით რომ დავმარხეთ მიწაში და  
გულსავსე ლოცვას გავატანეთ წლების გადაღმა,  
ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ვიგრძნოთ.  
ხომ უნდა შეგვევეს გენში რწმენა,  
რომ დაუწერელ სტრიქონებში<sup>1</sup>  
უფრო მეტი ხიბლი ივანებს  
და, ნებსითი თუ უნებლიერ,  
სიტყვამიუდგომ ტკივილებსაც მივუსადაგოთ  
მოოჭვილი ხატის დიდება,  
გარდასულ დღეთა მზედ რომ ბრწყინვალებს.  
ხომ უნდა ვიგრძნოთ დამწვარ ხორცის  
უცხო სუნი და  
დაუშანთავი სულის სიმაღლე.



სულის, რომელიც  
გვარსაკრული მაცხოვარივით ზეცას ეტრფოდა.  
ჩვენ უნდა შევძლოთ სტრიქონს მიღმა დარჩენილი  
დაუწერელი ფიქრების და დარდის გაშიფრვაც,  
რომ ისტორია თვალს და ხელს შუა არ გაგვეპაროს.

1991.

\* \* \*

Մորանուս զարդո, Առյուղ Տօնատլուտ  
գարմեմույմուլո, Ծկոցուլութ մոմլուս.

- Եվ Բամեծուլո Ծեղոցլուս Սյուլո  
գաճառեծուլո Ծագուրո Տօնելուտ  
Տալուսմույմելուս Մյուժրեյըրծութ  
գանվաճուլո Երևութ Կապուսկան օմբարէ.  
Մուսովուլութ Կահեթ Հայացն -  
Ծանրմէ, օյսո Երևածլա օմբա.

Ծեղութուս Վահու, Ծագումունութ Հայութուտ  
գամոխաւուլա Ծեղոցլուս Տախ...

Տախարտազուս Վահեթո Ծեղութ  
Վահու Կո Շերնաս Արեցս Հա Արեցս.  
Օյսո Ծագութ Կալմոսուլութա

Կուրտեյուլ Եղեմս Ծայ Գաճաարհենս...  
Մուխա Ծագաս - Մումլո Աղար Օլուզա,  
Մուխա Ծագաս - Իոնելուտ Ելուս Գանահենս.  
„Հայու Գաճացրհեթու“, - Բուրիուլութ Շերնա,  
„Հայու Հիւրունո Վարտ...“ - Վիւրիւլութ, Վովո...  
Ծեղոցալու Կո Ծագուրութ Մագլուտ  
գանվաճուլո Երևութ Կապուսկան օմբարէ.

1990.

## მოღურჯო თაღი

ეს ბურსაჭირის ფრიალო ნისლით  
ყრუდ შეჭირადებს ზეცის მოტივებს,  
გადასავალზე მზის დედა იცდის,  
გრძნობა გამომხმარ ბელტს ანოტივებს

და თვალშეუწვდენ ხეობის პირას  
გაპობილ ბურუსს ამკვეთრებს მითი...  
ღელეში ვიღაც დაეძებს მირაჟს,  
ვიღაცა კენჭებს წლებივით ითვლის.

ჩანს პოეზიად შეკრული ჯანღი,  
ყვავილის კოკრებს ღიმილი სცდება,  
ედემის ბაღში მოლურჯო თაღი  
თავისუფლების სიმბოლოდ დგება.

1991.

Ճա, շեալիաց...

Ճռյը մտելո ճռյա շեալիաց,  
Ճռյը մտելո ճռյա զբոյիրոծ;  
Շեկից ճաճցը բա քալիաց  
Ծակիսաւ մոնտեռց տություն.  
Մոյեալյը սեցձա  
Տայությունը առաջը տալյէն,  
Եղինակը հայության ճաճցը  
Շայությունը հայության ճաճցը.  
Ճայիցը տալյէն լաճճյէն  
Իսամոնայոն դերտա,  
Տեսություն օրական բալյէս  
Շամաչալյուն դոյիրտա չետաց.  
Ճարճու ճարճու սոյրուած մոտոց,  
Միջումը մայության զայուս...  
Ֆե, մշունքանու մեջյը  
Եռ միծրեանդյէն ձանյուս!!!  
Ֆե, շամայունը լուսուն  
Եռ մոյեալյը ծոլու,  
Ճաշունու կարտեսուլո լուսու  
Իսամոյւմլուատ, ոլուլ!  
Ճայնցիրեցուատ դոյիրուտ  
Նայովունիցը նուլուց,  
Միջուրամայունը բարցալու  
Նուլու սատոյմլած ուժը.  
Ճա, շեալիաց... շեալիաց... շեալիաց...  
Ճա զբոյիրոծ, զբոյիրոծ ուժը.  
Քարու սօմնությունը արան  
Ճարութլու քառակա շուլյէն.



1990.

## მიყვარდით

მიყვარდით, რადგან სიძულვილისთვის  
ვერცერთი წუთი ვერ მოვიცალე  
და ახლა ლოცვით გადაღლილ იმედს  
ურჩი დღეები მიაბანცალებს.

მიყვარდით. მზერა სხივებს სწოდებოდა,  
ქარი კიოდა თავგამოდებით,  
ხან ფერიები მესიზმრებოდა,  
ხან ალსარებას გთხოვდით გოდებით

და ჩამოშლილი სულის კედლებით  
იფარებოდა ფიქრის საძვალე...  
მიყვარდით, რადგან სიძულვილისთვის  
ვერცერთი წუთი ვერ მოვიცალე.

1991.

\* \* \*

աղարացքը աղահ Շեմեձլոն  
Տոյցարուլուս ճա Ծկովոլուս գարճա,  
Իսմոցագարե Սյոլս մոնաթրեծիս  
Իսմոծեծպոլու մոժաշո ցարճա  
Ճա Տո՛շացե՛մի տետրու լայեծի  
Գան՛չորուլուզուտ գամովոցլովե...  
Իռուա մալուան մլույի մոժորճա,  
Մեթոյեծեծմաց մա՛ն օդրոցես,  
մա՛ն օդրոցես ճա գամոմցությես,  
մայցույս ճամֆնահ ցոյշրած ճա ճարճած  
Ճա պատմացքը Շեմոմամահուցես  
Տոյցարուլուս ճա Ծկովոլուս գարճա.

1991.



\* \* \*

### მინაწერი ლ. გოთუას მოთხრობაზე „სერაფიტი“

მოვა ოდმანი - ურცხვი ჭალათი,  
მართაზეს ლომივით მიაპყრობს თვალებს,  
სასიყვარულო სულის ბარათი  
სერაფიტივით გაჰყვება ქარებს.  
მისნურად ხვდება იქნებ სიყვარულს,  
როცა ეტრატზე ასოებს სინჯავს,  
მოშრიალდება მზის ანგელოზი  
და გულებს შორის ირლგევა მიწნა.  
...აი, მესამე ნიამორს ბედი  
აგემებს ტრფობის ტკბილ-მწარე ღვარცოფს,  
რას იზამ, ახლა ისეთი დროა  
როდესაც ძალი პატრონსაც არ ცნობს.  
რას იზამ, როცა მონა ხარ, მაგრამ  
მფლობელზე ბევრად მაღლა დგას სული,  
ყველა იმედი გულდაგულ გაქრა -  
ანგარებაა თვით სიყვარულიც.  
ვინ იტყვის სიტყვის უფრო უპრიანს,  
საუკეთესოდ ვის ძალუძს წერა,  
ქვაზე დაჭდება ბრძენი შუპრია  
და მთის მწვერვალებს დაუწყებს ცქერას...  
მოვა ოდმანი - ურცხვი ჭალათი,  
მართაზეს ლომივით მიაპყრობს თვალებს,  
სასიყვარულო სულის ბარათი  
სერაფიტივით გაჰყვება ქარებს.

1990.

\* \* \*

შენი სიცილი დღესაც ლალია  
და უცნაური სიამით კოცნის  
ჩემსავით ღრმა და მარადდალიან  
სიყვარულისგან ანთებულ კოცონს  
და, მეც, მომწონს, რომ ამგვარად ველი  
შენს სიცილს – ლალს და სუფთას და მართალს...  
განგება ჩემი ცხოვრების საჭეს  
გულუხვი მზერის სხივებით მართავს.

2002.

\* \* \*

დავადნობ მკლავებზე სხეულის საცმელებს  
და შენსკენ ლამაზი ხმაურით წამოვალ,  
შეხედე, თითებზე ლექსების აცრები  
და ოვალის ღრმულებში ჭინკების ცეცება  
უხდება ამ დილას, რომელიც მახსენებს,  
რომ ეს სიყვარული სხეულად მეცმება,  
თუკი მოვინდომებ და სხივად გაგწვდები  
შებინდებამდე და სიცოცხლის ბოლომდე...  
მე მინდა, თითებზე მარადი აცრები  
სიტყვებად, ლექსებად შენს გულში ცხოვრობდეს.

2008.

\* \* \*

დღესაც ზაფხული ჩურჩულებს ჩემში  
და იკაწრება მზერა, რომელიც  
ხანდახან მარტოკაცივით ცხოვრობს;  
თუ დამიყვავებ ერთ მშვენიერ დღეს,  
რომ ჩამოვჭდე და ცის კაბადონს  
ცრემლის დიდი სარტყელი ვთხოვო,  
თუ შეიბრალებ თითებს, დალლილებს,  
საწყლად ჩამომსხდართ ზამთრის ყინვაში,  
უსუსური ჩიტების გვერდზე...  
დღეს, რა თქმა უნდა, ძალიან მომწონს,  
როცა ყოველდღე, აღტაცებული,  
ჩემს სულში ლამაზ ნიჟარებს ეძებ.

2002.

## ძველი დღიურიდან

\* \* \*

ალარაფერი შეცვლილა თითქოს...  
შენი ცრემლიდან ჩემს ცრემლამდე  
ისე შორია...  
გარეთ წვიმს. მიწის სურნელებას  
გულწრფელად გითმობ,  
თუმც შენ არასდროს დამინახავ  
თვალებტბორიანს.  
თვალებტბორიანს არასოდეს მიმიღებ,  
გიცი...  
ახლა ყველაფერს შენ გითმობ და  
მაინც სავსე ვარ,  
რამდენიც გინდა, გააბრუე  
ბალახის ფიცით,  
რამდენსაც გინდა, შენი მზერა შემოასევე.  
გარეთ წვიმს...  
ზეცის გულჩვილობა ჩემამდე წვეთავს,  
შენ უფრო შორის ხარ,  
შენი ცრემლი უფრო შორია,  
შენ ვერასოდეს დაინახავ სინათლის ზეთავს -  
შენ არასოდეს არ მიმიღებ თვალებტბორიანს.

1995.



\* \* \*

რატომ გამიშვი იმ წევიმიან ამინდში მარტო -  
იქნება მართლა დაირჩინე რამე სათქმელი,  
მე დაღლილი და შეშლილი ვარ  
ყოველთვის მარტით,  
და შელამების სისადავით, და მზის ნათელით,  
და საყვედური საყვედურებს ებმება უხმოდ...  
მე და ფოთლები, მე და ქარი, მე და მოლხენა...  
და არეული ნოტებივით მშრალ აკორდს ვუქმობ,  
და გაოცებ და გაგულოვნებ ჩემი მოთმენით.  
ეს შემოდგომაც გახუნებულ სურათებს ხატავს  
და უხმოდ თვრება ცის თალიდან ჩამონადენით...  
რატომ გამიშვი იმ წევიმიან ამინდში მარტო -  
მე სიყვარულის მეშინოდა და ფოთოლცვენის.

1993.

## გაუგზავნელი ბარათი № 1

ძვირფასო!

ათიათასჭერ რომ გაგიმეორო,  
იქნები კი ჩემთვის ძვირფასი?  
იცი, როგორ მაწუხებს  
მთვარეს რომ აღარ ველოდები და  
შენზე იშვიათადლა ვოცნებობ.  
ვცარიელდები...

ნუ გაიოცებ -

ცხოვრებას პოეტების ჩათრევაც სცოდნია;  
პოეტებს თუმცა ღრმა თვალები აქვთ და  
კითხვიანი გამოხედვა,  
მაგრამ, ხშირად, ქუჩაში ვერც ამჩნევენ და,  
ტრანსპორტში მუქლუგუნსაც წაჲკრავენ ხოლმე...  
ჩემი ლექსებიც ცხოვრებას დაემსგავსა და...  
მასაც განვიცდი.

- შენ, ლექსები და ცხოვრება!.. -

ერთი გაჭვი,

მაგრამ სადა ვარ მე,  
სად სუნთქავს ჩემი გაქცეული აჩრდილი,  
ხანდახან ფურცლებში რომ იმალება და  
თვალებზე ხელს იფარებს -  
უნებურად არ დაემტვეროს ქუთუთოები,  
თორემ... მერე... რას დაინახავს!..

შოო, ძვირფასო,

ხანდახან შენი ხელის სითბო მინდა გავიხსენო,  
შენი თლილი თითები და დაღლილი „მომენატრე“...  
ერთ მშვენიერ საღამოს,  
სადმე რომ დამხვდე და გამაცილო,  
მხარზე ნდობის თეთრი ვარდი ამომეზრდება.

1994.



## გაუგზავნელი ბარათი № 2

ვიცი, ყველაფერი უნდა დამემსხვრეს და  
შენი თვალებიდან დაწყებული  
მარტოობა გამოვიგლოვო,  
გამოვიგლოვო, შევეგუო,  
რომ შენი წასვლაც,  
მოუსვლელად წასვლაც ბედია  
და ვერასოდეს ვერ მივიღებ,  
რასაც მოვითხოვ...  
შენ კი უხმოდ უნდა გამშორდე...  
სულ ერთია, ვერასოდეს ამოიკითხავ,  
თვალების ღრმულებს საიდან აქვთ  
თამაშის ნიჭი,  
ანდა ბაგზე შერჩენილ იას  
უნდა ელტვოდე თუ გაურბოდე;  
იქნებ ყალბია ჩემი სახე,  
მაგრამ ცრემლებს,  
ცრემლებს რა ვუყო,  
ანდა მუსიკად ქცეულ სიტყვებს,  
ანდა მოლოდინს.  
მაპატიე... მაპატიე...  
მე რომ ვარსებობ...  
მაპატიე და მერე წადი...  
მე კი იმდენი ქარტეხილი  
უნდა დავძლიო,  
იმდენჯერ უნდა ამოგშალო,  
იმდენჯერ უნდა შევუბერო  
სული ნაწილებს,  
რომ მცირე ბწყარმაც არ დამტანჯოს  
მთელი ცხოვრება  
რომ, შენ რა იცი...  
მყარად რომ ვდგავარ,

გვინდია, რომ ძლიერი ვარ,  
ანდა უდრეკი?  
უბრალოდ, ქარი  
არსაიდან აღარ უბერავს.  
ნუ დაუდგები ჩემსკენ მავალ  
ქარტეხილს მკერდით!  
გახსოვს? გახსოვს? რა გამიმხილე...  
მე აღარ მინდა გახსენება,  
რადგან დამსხვრევა, კარგად ვიცი,  
ჩემი ბედია,  
რადგან თამაში არყოფილთან  
ხდება არასდროს,  
გესმის? არ მინდა  
შენთან ყოფნის ტალღამ დამახრჩოს.  
ჩა-მო-მე-ცა-ლე!  
რომ სამუდამოდ, სამუდამოდ  
დაგიმახსოვრო.  
ჩამომეცალე და უსიტყვოდ მაპატიე,  
მე რომ ვარსებობ  
დამსხვრეული სარკის ჩრდილებში.

1994.

\* \* \*

ხომ შეიძლება, მთელი ღამე არ დამეძინოს  
და მერე, მერე უძინარმა თვალებმა გამთქვას  
და დილით სარკემ ამოიცნოს ის სიყვარული.

1996.

\* \* \*

## გ-ს

შენი ცოდვები...  
უცნაური მზერით წავიდნენ...  
და დაფხრეწილი ნიღაბიდან  
კივის თვალები;  
სხვა გაზაფხული დაიწყება,  
ალბათ, ხვალიდან.  
შენ კი... შენ ასე  
აღარავის არ ეყვარები.  
და დაფხრეწილი ნიღაბიდან  
კივის თვალები.  
რა უცნაურად დაასრულეს  
სპექტაკლი წლებმა.  
შენს გადამსხვრეულ სხივებს  
უხმოდ დაატარებენ  
პირველყოფილი მოლოდინით  
დალლილი ხმები

და დაფხრეწილი ნიღაბიდან  
კივის თვალები.

1995.

\* \* \*

შენ ვერაფერი ვეღარ შეგცვლის -  
დიდი ხნის წინ შეაჩვიე მონატრება,  
უცნაურად უბრალო და სავსე სურვილი  
მხოლოდ შენს მწვანე ოთაში რომ გამოგეციდა  
და ახლაც, ალბათ, გადაიტან,  
როცა ის კაცი  
მშვიდად ასცდება  
შენს იებით მოფენილ სევდას  
და გეტყვის, რომ მართალია, სასურველი ხარ,  
მაგრამ ბოლომდე ვერ ავსებენ სანთლის ქალები.

1999.



\* \* \*

„დირს სიყვარული მიწის მტვერში?“ -  
ფიქრი კანკალებს.  
ვწერ სხვათაშორის,  
გიმეორებთ და გეკრძალებით.  
ჩემი ცხოვრების ბილიკები  
ისე გაკვალეს,  
რომ ვეღარაფერს ვუმკლავდები  
სუსტი მკლავებით.  
„დირს სიყვარული მიწის მტვერში?“ -  
ფიქრი კანკალებს.

1995.

\* \* \*

ռղոնդ հուա մարտո օյնեծո,  
մյ ցհմելու կոծյս ամոզյածո  
դա շնձրալոն նածոչոտ ցացտէցամ  
հյմիս ժցըլ սոյցարուլու,  
հոմելուու ցուլուն  
շեմայրոնդ դացասամարյ.  
ռղոնդ, հուա մարտո օյնեծո...  
մյ մոցուտան տցալցեծու,  
հոմելուն ծալլուրո ասուծուտ  
Շեյրուլոն ծարատցեծու Շրուալցեծուն դա  
ցամոզտոցը սուրպաս „մալուան“,  
հուա ցետպու: „Շեն դա ծաց՛ցոնք  
ցրտնասուրադ մենաւրեծուտ եռլմե-մետյուն“.  
մյ մոցուտան սահոյրադ հյուրիւլու,  
ան ցումուլու, հոմելուսաւ օսամնուս  
սուրնելու ցյնեծա դա  
օսամանուցուտ դասուրդցեծու  
հյմու ցանչրուտան ցամուարուլ  
նատցու լամցեծու,  
հոմելուն Շեն սակլոնծուն!..  
դա ցուտեացըն մյուր  
տցալցեծու դա ցումուլցեծու:  
հաւոմ ցերասդրուս դասնակյ  
Շենամցու ցերմուլին շնուլու  
սոյցարուլուս ցրեմլու.

1994.

## მინანერი ღლიურის ყდაბე, ანუ ღექსი შენდამი და ვარდებისადმი

სიყვარულივით უხმაუროდ წავიდა მარტი...

წარმოდგენილი შეხვედრების უამიც დასრულდა.

ვზიგარ. ჩვენს ზარებს ვიგონებ და იგავებს ვმარტავ  
და ფეხშიშველი მივფრატუნებ მდორე წარსულთან.

სიყვარულივით უხმაუროდ წავიდა მარტი...

გაიგეთ ჩემი გაორება, როგორც გენებოთ,

თუ გსურთ, ეკლებით მარტოობის თითები ხატეთ  
მაისის ბოლოს დამტვრეულო ვარდის ღერებო!..

რაც გინდათ ხატეთ,

ოღონდ სულის უცისფრეს მესერს

არ მიგაკარებთ - სათუთად და სადად აწვერილს...

და ნუღარაფერს ემართლებით დარდიან ლექსებს,  
იმ დამსხვრეული სიყვარულის მერე დაწერილს.

1997.

\* \* \*

მე ასე მსურდა, მაგრამ რატომლაც  
ვერ გამოვიდა, რაც მსურდა, კარგად  
და ახლა, როცა ცრემლად წამომცდი  
მზის უკანასკნელ სხივივით გკარგავ,  
უბრალოდ გკარგავ... და ხსოვნის ჩრდილში  
ვთრთი, როგორც ფოთლის სუსტი უქრედი.  
რომ გამებედა, ერთ მშვენიერ დღეს  
ცრემლებს ფოთლებად მოვაქუჩებდი  
და მოგიძლენიდი ყველა ფოთოლს და  
ყველა ოცნებას, ჩემს სულს რომ სდევდა.  
რომ გამებედა, შენც უცნაურად  
დაგამშვენებდა ლამაზი სევდა,  
მაგრამ, რატომლაც, უხმოდ წავედი,  
ვერ გავუფრთხილდი მზის სხივებს კარგად  
და, ახლა, როცა ცრემლად წამომცდი,  
ხელახლა გკარგავ.

1999.



\* \* \*

რა მერე... დაგმთავრდით. და ჩემი თითები  
ჰყავს ზამთრის დაღალულ საღამოს ნარჩენებს,  
ვეღარ ამოვხეთქავ მღელვარე ზვირთებად,  
ვერც თვალის გუგებით სიყვარულს გაჩვენებ,  
დაგმრთავდი. და ჩემი ლოდინის საშოდან  
წამოსულ სიტყვებზე ვფენივარ მერდინად...  
ჩვენ, ალბათ, იმიტომ შევხვდით და დაგშორდით,  
არყოფნის ნაღველი რომ გადაგვერჩინა.

1999.

\* \* \*

Յօշո, ցանութու... Ի՞մո ձայսարցցա  
Ֆշացս Շոյա ցիշանց ճացանքով Սահիռու  
Ճա օմ տվալցեծո, մը հռմ առա մշացս,  
Ամոյցելունո յկլցեծո ցաերհիռծս.  
Մը ալար Յօշո, հա հռլու ցտամա՛նոծ,  
Ի՞մո Եյլցեծո հաս Բյերս ճա հաս Ֆշացս,  
Օհտացը Ցցացարտ Շի՛նցըլ Տահահիռու  
Ճա մերեծոտ մցելո Ծկուզունո ճացցայիցս.

1999.



## ანში შეოლებები

\* \* \*

ჩვენი შეხვედრა მუდამ რაღაცა  
შეუთავსებელ ცეკვას მოჰყავდა,  
შენ მთვარესავით საგსე ღიმილი,  
მე - ტკივილების ტევრი მომყავდა.

ხელებს ვჭიდებდით, მაგრამ ხელებიც,  
მაგრამ ხელებიც არ ჰგავდა ხელებს  
და მიყვებოდი „წრფივ გახელებით“  
როგორ დასცვივდა ფოთლები ხეებს.

როგორ უსმენდი გამთენისას  
გულდადინჯებით ქარების ქადილს  
და გაოცებდა ცრემლი იისა -  
სიყვარულივით საცთურის მბადი.

როგორ მეძებდი მთელი ცხოვრება,  
როგორ გიყვარდი დაბადებამდე,  
დღეები დღეებს როცა მოება  
როგორ მამგანე ციურ ფერადებს.

უჩემოდ სული როგორ ხმებოდა,  
სიზმრად ტკივილებს როგორ მიქრობდი.  
მე... გულისგარეთ მეღიმებოდა,  
თვალებს ვხრიდი და... მზეზე ვფიქრობდი.

ჩვენი შეხვედრა მუდამ რაღაცა  
შეუთავსებელ ცეკვას მოჰყავდა.  
შენ მთვარესავით საგსე ღიმილი,  
მე - ტკივილების ტევრი მომყავდა.

1991.

## ազգան մռաջավար...

յրտ թ՛շենոյր դլես մօցեցլեթօ հռմ...

Շեն մենաტրեթօ, -

Ի՞մո ծաց՛շընօն աօ՛լեթա մշելո Ցղաթրութան

Ճա Շբանաշրաճ արեւլո տետրո Կարմրեթօն

ցագոմեցել, հռցոր Ծկրութամճա

մոյցարդո յրտ դրոս,

հռցոր մոյցարդո

Ճա Տոյցարուլո ցանցեթ ցիրճուլացլո

Ճա Մարտունուլո մօցպեցլեթօ Ցեղարեթօն գյուղոն

Ճա Ան, Կրծալութօ վայունեթձա Ի՞մո ծաց՛շընօն...

(Մյ տակութ մօցտուկյ Տոյցարուլոն Շլեցո ալցորո

Ճա Հացամեցացս ռպնեթեթօ Տատամաժոյթօ).

Ժցել Տասացլառո հրճութիւն Ծարիցա Ի՞մո ծաց՛շընօն

Ճա Աելո Ան ցառեթուլո տվալո առ Մաժորեթօ,

Մյ Կո ռտաեթօ ցամոկյեթօն ազդարո մօցցացար,

Ժցելո Կրճլեթօն Տայցեցլուրո ցադարեւլո.

Քարմա Բարսուլո ճամենօնութ Տեցլութ մօցացա

Ճա Ծացից ցանց մտելո Տամյարոն

Ցոռտլութ Հցեւլութ,

Հռմելութ Ի՞մո մարտոռոն ծաց՛շընօն օպացս,

Ծաց՛շընօն օպացս Ճա Վահանութ Շետուալո.

Ցեր Ցաշունոմյ Ցերասուցլո Տոյցարուլո Տօպեյ,

Ծառմութ, Ցուլճացուլ Ցարի՛մունեթձո, Հռմ Ցեֆմեթու

Կրեմլեթօն, Տեցլութ, մօցոնեթօն, Շեմոտենեթօն,

Ետերո Ելեթօն Ցեֆմեթու - Ուսկյեն ԱՌազդութ,

Մարտոռոն Պայցելացըրո մօմեթենեթօ,

Օլոնճ մօվանութ ճամեցարցա Ի՞մո նախութ,

Հռմելութ Ժցելո Տոյցարուլոն Տոյցելո Ֆյոնճա...

Ծաց՛շընօն Եմա Ֆյոնճա Ճա Ծաց՛շընօն ազդութ,

Աելո Տոյցարուլո մարչցը Ճա Ծկրութամճա

Անետո Տոյցարուլո Ճա Տոյցարուլո.

1996.

## გამოსავადი

მე ასე მსურდა - შენს ცხოვრებაში  
მეარა უხმოდ, თითისწვერებით,  
ახლა რომ მოგკვდე, ვიცი, სიტყვებით  
ან მზერით ვეღარ შემეშველები.  
ეკლების გზაა, მივეხეტები,  
ასე ვარჩიე მოსვლა შენამდე,  
რა, მერე, თუნდაც სისხლის წვეთები  
შენს სულის კიბეს წითლად ღებავდეს.  
ნუ შეშფოთდები... ჩემი სახეა  
ეს გაცრეცილი ღამის ფარდები,  
რომ მომისმინო, პოეზიით და  
მზის მცხუნვარებით დაავადდები  
და, მერე, ვეღარ იცხოვრებს სული  
ფოთლების დარღზე ულაპარაკოდ...  
უნდა წავიდეთ ერთმანეთისგან  
და მარტობის ხილი ავაგოთ,  
რომ ერთმანეთი გადავიტანოთ,  
რომ არ შევახმეთ ყოფის იარებს...  
და, მაინც, სანამ დავშორდებოდეთ  
მოდი, სამყარო შევატრიალოთ!

1999.

\* \* \*

(ერთი სიყვარულის ისტორია)

რა სამწუხაროა. -

ორივე დაგმარცხდით.

ორივემ ძალიან უბრალოდ წავაგეთ

და ახლა ეს ქარი სევდასაც არ მაცდის,

ახლა ჩემს ცხოვრებას ქარები განაგებს,

წავაგეთ.

ჩემს იმედს მუხლები მოკვეთეს

სიტყვებმა - სავსენმა ტკივილის კირთებით,

მე მერქვა სახელად „მიყვარხარ, მომხედე“,

შენ გერქვა: „კარგი ხარ, მაგრამ არ მჭირდები“.

ორივე დაგმარცხდით.



1998.

\* \* \*

მე კი ცხადია, არაფერს არ გთხოვ -  
ისე დამიხვდი, როგორც გენებოს,  
თუმცა წლებს ძველი სისავსე ათოვს  
და ნატვრა დიდი ბედნიერების.  
არაფერს არ გთხოვ... როგორც გენებოს,  
ისე იცხოვრე ჩემგან წასულმა,  
არ შეგრისხავენ სუსტი ხელები,  
არ მოგასევენ ზარს და ავსულებს,  
როგორც გენებოს... ოღონდ წასვლამდე  
(სანამ მოქებნი შენს წილს და საფერს)  
წარსულს გახედე - სველი სულიდან  
ჩამოცვენილი ფოთლებით ნაფენს.

1998.

\* \* \*

მე ყველაფერი მშვენივრად მახსოვს-  
ის სიყვარული მერე მოვიდა,  
ვიღაც ავსებდა სიცოცხლის თასებს,  
ჩვენ ვბრუნდებოდით თეთრი თოვლიდან.  
ჩვენ ვბრუნდებოდით თეთრი თოვლიდან  
და ღვთიურ ფიფქებს ვინაწილებდით  
და სიყვარულიც ისე მოვიდა,  
როგორც დაღლილი სულის იმედი.  
და სულს მზესავით თბილსა და მარტოს,  
და სულს მზესავით მიუკარებელს  
შემოეჩვია ველური მარტი  
ამღვრეული და სველი თვალებით  
და ყველაფერი შეაკვდა ლოდინს  
და ლამაზ სევდას, და შეშლილ ფერებს,  
გიმახსოვრებდი მინდვრით და კორდით,  
გაკოწიწებდი ლოცვით და მღერით  
და თოვლის თეთრი სუდარით ვთრთოდი,  
და სული მქონდა ისეთი სავსე...  
ვდარდობდი... ვთმობდი... ხელახლა ვთმობდი  
და ვაწყდებოდი სამყაროს ასე.  
და ყველაფერი ხმაურით თრთოდა,  
მხოლოდ ტკივილი მოვიდა უხმოდ,  
მე შევიშალე და ყველა ზღაპარს  
ჩემი სამყაროს კუთხეში ვუხმე,  
მე შევიშალე ღვთიური სუნთქვით,  
რომელიც თოვლის მერე მოვიდა  
და ჩავიმუხლე, რომ წამომეღო  
რაღაც ძალიან სუფთა თოვლიდან

1993.

\* \* \*

არაფერს ჰეგავდა ეს მონატრება -  
ცისფერი წიგნი თეთრი ზოლებით...  
ახლა ყველაზე მეტად გვიხდება  
უცხო როლების გამოგონება,  
ახლა ყველაზე მეტად გვიხდება  
ფერების წვიმა და სიმარტოვე,  
ნუ დამადნები სულზე მითებად,  
ნურც უმითებოდ ნუ მიმატოვებ  
და ეს სიმღერა - ქარის სადარი  
მხრებზე მომხვივ ღრუბლის მანტიად,  
გადაგლეჭილი გული სად არი,  
სიყვარული რომ ვერ დაატია,  
სად არი... თუმცა, ძებნაც ფუჭია,  
რას შეგარჩენენ მიწიერები,  
უნდა გაექცე ყოფიერებას  
მზით დასიცხული ყოფიერებით,  
უნდა გაექცე და ღრუბლებს გაჟყვე,  
ღრუბლებს გაჟყვე და სურვილი სტანჭო,  
ვინ დაგიჭერებს, ზეცამ სასჭელად  
იების სუნთქვა რომ მოგისაჭა,  
ვინ დაგიჭერებს, იების სუნთქვა  
ფერად მითებს რომ იტევს ერთიან,  
რომ აკანკალებს მშფოთვარე ტალღებს  
ღრუბლის ცრემლები როცა ერთვიან,  
რომ მონატრება მოდის ცრემლივით  
და არ არსებობს მისთვის ჯებირი...  
არარსებული გული გინატრის  
სიყვარულისგან გადაგლეჭილი.

1992.

\* \* \*

და კიდევ ერთი წერტილი შენთან -  
ერთი დუმილის სამაგიერო,  
ასეთი როლი, ჩემს ფრთებს რომ თენთავს,  
სადამდე უნდა ვანსახიერო,  
სადამდე... როლებს მიწუნებს სცენა  
(აღტაცებებიც წლებმა წალეკა)  
და ჩემი სულის მკლავს ფოთოლცვენა  
და სუნთქვა ზარის - ხვალ რომ დარეკავს  
და წასვლის მძიმე ნაბიჯებს მამცნობს...  
შენ კი დამრჩები გაუშლელ კარტად,  
ფოთლის დარდივიც მდუმარე კაცო,  
ნუ ამიცრემლებ იმედის ხატებს  
მოოჭვილს არცთუ ძვირფასი ქვებით,  
მაგრამ ჩემსავით ნაზს და დარდიანს...  
მე დღეს ბებერი ხესავით ვხმები  
და ზეცას ვჩუქნი, რაც მაბადია  
და აღარ ვიცი, რითი ვუშველო  
ამ ნამრუდისფერ ურთიერთობას.  
გამიჭირდება, ვიცი, უშენოდ,  
ვიცი და მიტომ აღარ მეთმობი,  
ფოთლის დარდივით მდუმარე კაცო...  
შენი როლები მაბნევს და მთენთავს,  
ნუთუ თვალები არაფერს გამცნობს,  
ნუთუ არ გესმის ჩურჩული ხეთა?  
ამ წერტილებსაც გაუძლებს გული  
და, ბოლოს, თვალის ღრმულები გაგვცემს  
ჩვენ - ყურადღებას მოკლებულ სურებს,  
ოქვენ - ფოთლის დარდით ავსებულ კაცებს.

1997.

\* \* \*

გემუდარები, გამიღე კარი.  
სიტყვა, რომელიც ერთ დროს გამომჩა,  
მე მოგიტანე ახლა პეშვებით,  
გემუდარები, კარი გამიღე!  
ასე ადვილად ვერ შევეშვები  
დაგმანულ კარში შეჭუჭკულ ლოდინს  
და რწმენისა და იმედის ლოდებს  
ვერ ჩამოვაგლეჭ ჩემს მარტოობას.  
...სისულელეა გიუტი ღობე  
ყინულოვანი, თეთრი თითებით,  
მე, თუმცა, მთვარის სატრფოდ ვითვლები,  
მაინც მთავარი დავტოვე შენთან –  
უბაგშურესი სულის მითები  
და მოყვავილე სინათლე ფერთა;  
და ახლა, სიტყვა მომაქვს პეშვებით,  
რომლითაც უნდა გადავარჩინო  
შენს სულში თითქმის გახუნებული  
ჩემი თითების ანაბეჭდები,  
სავსე ვარ შენი დიდი სურვილით  
და სურვილს იქეთ არ ვიხედები.

გემუდარები, კარი გამიღე.

1998.

\* \* \*

ՄԵ, ԻԱ ԹՅՄԱ ՇՆԾԱ, ՄԹԱՎԱՐԻ ՅՄԱԼԱՎԾՈ...  
ԸԱ, ԹՅՄԾԱ, ՆԱՑԻՔԻ ԾԳԱՄԾՈ ՂԱՑԵՇՆՈՒԼԻ,  
ՏԻԿԱՐՈՒԼԻ ԻՐԱՎՈՒՄ ՄՈՒՑԱՐԱՎԾՈ –  
ԻԵՄՏ ՏԵՍԼՌԻ ՇՎՈԾՈ ՑԵՔԾՈՒԹ ԸԱՑԵՔԾՈՒԼԻ.  
ԸԱՄԵՏ ԱՐՏՈՒԾԾԱ ՄԹՎԱՐԻՍ ԾԱԼԱԾԱ,  
ԹՅ... ՆԱԳԻՐՈՎԵՑՈ ԾԿՈՎՈԼՈ ՑԵՇՎՈՒԹ;  
ԱՆ ԸԱՄԵՏ ԻՐԱՎՈՒՄ ՄՈՒՑԱՐԱՎԾՈ –  
ԻԵՄՏ ՏԻՑՄԻՐԵՑՈՒԹ ՑՈԼՈԽԾԵ ՇԵՇԼՈՒԼԻ.  
ԾԿՈՎՈԼՈ ԾԿՈՎՈԼՈ... ԸԱ, ԻԱ ԹՅՄԱ ՇՆԾԱ,  
ՄԵ ԾԿՈՎՈԼԻ ՄԵՐԼՈ ՑԱԼՈՒԹ ՅՄԱԼԱՎԾՈ,  
ՇԵՆ ԿՈ... ՇԵՆ ՄՈՒՇՈ ՄԾՎՌՈՒԾԱՆ ՄՈՒՎԵԾՈ  
ԸԱ ԾԿՈՎՈԼԻ ԻՐԱՎՈՒՄ ՄՈՒՑԱՐԱՎԾՈ.

1996.



\* \* \*

ვერ გამოვდივარ იმ წარსულიდან!  
სასაცილოა, მაგრამ ახლა ჩემი წარსული  
ჰყავს აფეთქებულ იასამნის მოტეხილ რტოებს  
და წვიმას - ბრძენს და  
ცაში საწყლად გამოკიდებულს.  
სასაცილოა, მაგრამ ახლა წვიმაც მაღელვებს,  
რომელიც, ოუმცა ბრძენი არის, მაგრამ საწყალი.  
ვარ დაფოთლილი აუხსნელი კითხვის ნიშნებით  
და მდაღავს შენი ძველისძველი ხმის მცხუნვარება  
და წრეში, სადაც წლების უკან რიალებდნენ  
ჩვენი ჩრდილები, მეშინა,  
საწყალ წვიმას არ ჩაეძინოს.  
სასაცილოა, მაგრამ ვიცი, ჩემი წარსული  
ნისლში ბოგინობს და ბაგშვინის ეხვევა ყელზე  
და, მეშინა, სიყვარული არ მაპოვნინოს  
ნისლმა, რომელსაც სახელიც კი ვერ შევურჩიე.  
- მე აუხსნელი სიყვარული მაპურებს დღესაც,  
რომელიც ჩემზე დიდია და ჩემზე ნათელი.  
შემომაბრუნებთ? ვიმარტოვებ სიყვარულისთვის,  
რომ ცხოვრებაში ყოფის მტვერმა არ გამითელოს  
ამოხეთქილი ენძელების სადა ზმანება  
(ჩემი ბალლური აღტაცების დიდი ნიშანი).  
ხვალ, ალბათ, ხმაში მონატრება შემებარება  
და გამიზნულად დავარიგებ ფერად ნიუარებს



(հռմելուաց յրտել գամօմշղացնես սաօդումլոննո),  
մը կօ, հա մ՛շուած մշցոնա, հռմ  
սուրցուունս զտուցեծու...  
սասացուունա, Շեուցարո յալու-ծուցու,  
սասացուունա ձա հուսկու ումուսամարտու.  
զուցո, ցացուցո, ածլու ցցուցո հռուցա ցամարտոնիս  
ձա წահուուլուուն ցամոցութմոն ցյերած կլացուշեծս,  
ցեսմու? Շե՛մլուունո վցումա մարտացս լամուս մարտոննս,  
սա՛յսալու վցումա... սաբաւուու սկումիրած մբաւուշեծս.  
սուսուլուունա, մացրամ մարտլու մբաւուշեծս վցումա.  
ჩյմո წահուուլու, հռոցուրու ոյտորու օասամանո  
չցացս սուցութելուուն ցամունարուլ մարագուսոնիս.

1996.

\* \* \*

ჩემი სახეა სიყვარული  
და სახლი, სადაც  
ღამლამობით ნიღაბს ვიშორებ,  
სავსეა ვარდის სურნელებით  
და მეუღლის მზრუნველი მზერით...  
და აღარ ვიცი, სად დავმალო  
სევდის თეთრი, მშვიდი ნაგლეჭი,  
რომ ჩემს მშვენიერ, სადა ბაღში  
მოლოდინი აღარ ყვავილობს.

2001.

\* \* \*

ეს უცნაური ზრუნვა შემჩრჩა -  
შენ შეგაგროვო,  
შენი სიცილით ამოვიდე  
მარტობის თეთრი სევდიდან  
და ვთქვა, რომ მორჩა,  
ამ წუთიდან ცხოვრებას ვიწყებ.  
განგებაშ შენი სიყვარულის  
ცრემლებით მომჩრდინ  
და ვტკეპნი შენი ცრემლით საგსე,  
ხორცლიან მიწას.

შოველდღე გიწყებ  
და თითებში ლექსები მითრთის.

2001.

\* \* \*

მან თქვა, რომ დღემდე აფასებს ჩემში  
შემოდგომის გაყვითლებულ, მზიან ამინდებს  
და როცა მიდის, წასკლა უჭირს  
ჭრელი ფოთლებით მოფენილი  
მშვიდი ჩრდილიდან  
სადაც მზე ასე ნაწილ-ნაწილ  
ანათებს ხოლმე.  
მე კი... მე ვდგავარ  
და მის სევდით სავსე ნაბიჯებს  
ფოთლის ჩვეული,  
უდიდესი სიმშვიდით ვითვლი.

2000.

## კაქცუსის ღერო

ისევ მოგწონგარ ჩემს ლამაზ სევდას.  
მეუღლე წუხს, რომ ვერაფრით მართობს...  
ვარ მოყვარული ცოლი და დედა  
და დღეებს ჩემს წილ ტკივილებს ვართმევ,  
რომ არ გახუნდეს სულში ჩაზრდილი  
კაქტუსის ღეროს ხასხასა ფერი....  
მეუღლე წუხს, რომ ვერაფრით მართობს.  
მე... მშვიდად ვუვლი კაქტუსის ღეროს.

2004.

## ღუკას

ოდესმე აღარ დაგჭირდები -

ამ ჯინსისფერი ქურთუკივით გამიხდი და  
სახლიდან წახვალ.

მე, ალბათ, კალთას ჩამოვაწყობ გადაღლილ მაჭებს  
და სევდაში და მოლოდინში დავიდნობ სახეს

და ჩემს სიცოცხლეს ოქროს ტოტი ჩამოატყდება...

შენ კი... შენ- დედა გენაცვალოს - უნდა იარო  
მხრებგამართულმა, ლამაზმა და სავსემ მარტებით,  
სიყვარულებით, სურვილებით, ყოფის ხვიარებს

მხარი უქციო და ხანდახან ხელის წავლებით

უსიტყვოდ ჰყითხო დედის მაჯას -

რატომ წრიალებს...

მხოლოდ ხანდახან - თორემ, დედა დაგეწამლების -  
შენ უდარდელად, უტკივილოდ უნდა იარო.

2008.

\* \* \*

დედა გიმლერის. სველი ბაგიდან  
ყვავილების წვიმა იღვრება.  
დედას უყვარს, რომ პატარა ხელებს  
თითქმის არასდროს არ ავიწყდება  
ყელზე მოხვევა და თბილი სუნთქვით  
გულზე მარადი იმედის ქარგვა....  
დედა გიმლერის. ზამთრის ამინდი  
თანდათან თავის სიმკაცრეს კარგავს.

2004.



## ბამთრის სიმღერა

ჩემს შვილს - ძალიან ლამაზს და ნათელს  
უყვარს ფანჯრებზე ცხვირის მიღება,  
ზამთარი - ღამეს თეთრად რომ ათევს,  
ბედნიერებას უხმოდ მპირდება.  
ჩემი ბატარის თვალის ღრმულებში  
მოჩანს სინათლის ფართო თვალები  
და ყოფის მტვერი რომ შემაწუხებს,  
ვიცი, ამ თვალებს შევეფარები.

2006.

## ცხოვრების უჯრაში თოვლია

შეხედე, ცხოვრების უჯრაში თოვლია  
და შენი პატარა შვილები ხარობენ,  
რომ ზამთარს ფიფქები სტუმრად მოჰყოლიან...  
პატარებს თვალები უბრწყინავთ სითეთრეში  
და ლამაზ თითებზე ფიფქები ადნებათ...  
შენ კი ცხოვრების უჯრაში იხედები  
და მშვიდად, ფიქრიანად, ლამაზად ღამდება.

2007.



## ცისფერი ჩანაწერები

\* \* \*

მელანქოლიის ყოვლადობა, ანდა, საერთოდ,  
ყოვლადობა არარაობის...

მე დაგინახე წარმოსახვის ირიბ სარკეში საკუთარი  
მკრთალი აჩრდილი, შევიგრძენი დრამატული  
დაძაბულობა...

ჰო, ვიცი ახლა, შემახსენებთ გოეთეს სიტყვებს -  
„სასოწარკვეთა მოვალეობააო“ და... მკაცრად  
შემხედავთ.

რილკესეულად ყოველივე უთქმელის მჯერა...  
ამიტომ, როგორც რაიმე უცხოს, ელვის სისწრაფით  
ავისხლეტავ თქვენს მსუსხავ მზერას  
და დავდუმდები.

ვერ გამიგია, მივდივარ თუ უკან ვბრუნდები...  
ან, იმ რგოლს ვგავარ იქნებ, მისთვის რომ ბრუნავს,  
ბოლოს და ბოლოს საკუთარ თავს რომ დაეწიოს და  
მოლოდინით გათოშილ თითებს ჩამოაძროს  
ყინვის ბექთარი.



იქნებ სფეროთა სიმფონიის ერთი ბგერა ვარ -  
სურვილი რომ აქვს, გადალახოს სიბლეგადები,  
მერე, ხმაურით გადასწიოს გლოვის ფარდები და  
მარადიულ, უსაზღვრო დუმილს ბოლო მოუღოს.  
სიცარიელის დასაძლევად მოვლენილი ნერგი ვარ  
იქნებ, თავს რომ ვერ ვაღწევ ფიქრს სატიალეს, რომ  
ვერ ვიშუშებ დაბადებიდან თანდაყოლილ  
უღრმეს იარებს;  
მსურს, გავაღწიო სულის ჩარჩოს, გადავარღვიო  
ჭებირები და ავყვე იმ სხივს, მიწიდან რომ  
აიკეცება...  
ოდესმე, ალბათ, ფერი მეცვლება...  
უსიტყვო სიტყვებს, უხმო ბგერებს დავეძებ მუდამ,  
ვარ გადაღლილი ნატურმორტებით, თუ  
დამამშვიდებს - ერთადერთი, მოცისფრო გუნდა,  
ანდა, სიზმრებით სავსე კორდები,  
თუ დავლონდები, მარტოსულის მზით დავლონდები.

1990.

\* \* \*

შესაბამისად - ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, -  
სულის ბალადა, სიკისკასე, ქათინაური... მთელი  
სიცოცხლე პოეზიის ნიმბი მფარავდა, სულს  
მიღონებდა მიწიერთა ამო ხმაური, თქვენ  
გელოდებით, ფერიებო, უცხო ქვეყნიდან, აწეწილ  
რითმებს მოენატრა თეთრი ფურცელი,  
არ ვისაკლისებ, გეფიცებით, ამიერიდან,  
სულის ავსებას სიყვარულის ნაზი სურნელით,  
თქვენ გელოდებით. მიწყალობოთ ეგებ სითეთრე  
(გულზე დამადნო ღამემ სევდა იმქვეყნიური),  
ფერიცვალების სიჭიუტეს ვერ მივეკედლე, ვერც  
დასერილი აღსარებით გავხდი ღვთიური, ჩემი  
ოცნება ბევრჯერ ბასრი მზერით დატორეს,  
ცხოვრებამ ყოფის სივაგლახე ურცხვად მაჩვენა,

Ճա, աչա, յահուան ցալեալո ցւլո ճազթօվե, ցւլո  
ճազթօվե սոյցարուլուս ցածասարիենաձ... յժ,  
ցըրոյեծո... ցըրոյեծո... հալաս մո՛շցելուտ, սուլո  
օլեճապ Ծկօվօլուտ ճա ճարճուտ օվսեծա... տէցենս  
ցախարեծաս - մռմա՛շորհետ մո՛վիս սօևցելու, հռմ  
մովեկըդլու մահագուլու սեօմոնսօլուծաս.



1991.

\* \* \*

წვიმის წვეთებში ჩანს რაღაცა უკარებელი. ჩემი  
ცრემლები ფერგაცრეცილ კედლებს მაგონებს, ცის  
ლურჯ კაბადონს კვეთავს დროის მატარებელი -  
ნელა მიათჩევს ისტორიის მძიმე გავონებს, სცივათ  
ფურცლებზე მკაცრად აკრულ მტვრიან ასოებს,  
მკრთალი ფიქრები ისტორიის საუფლოს კვეთავს...  
მე, ცრემლიანი, კარიბჭესთან მარტო დამტოვეს  
გილოსანთა და სკიპტროსანთა ტკივილთან ერთად...

1988.

\* \* \*

სად არის ახლა ჩემი ოცნებით გადატვირთული  
დეკას ფოთლები. მომენატრებით და მუსიკის ჰანგს  
ძველი დუმილით დავეთხოვები. სად არის მუზა,  
ანდა, საერთოდ, ქარის კივილში შემხმარი წლები,  
ვინ მაწერინებს ლექსებს, სიზმარში ვინ ჩამაგონებს  
ვარდისფერ რითმებს, ნურაფერს მეტყვით,  
გაგუძლებ წუხილს - ისევე, როგორც ტკივილებს  
ვითმენ. დადგება რიგი გარდაცვლილ დღეთა, მოვა  
სიკვდილიც მწუხრში ნაწრობი, ჩემი პორტრეტის  
მუდმივი შტრიხი - სევდა ჩააჭრობს ზეცის  
მნათობებს და უფლისაკენ გაწვართულ ხელებს  
გაყინავს თოვლის მცირედი თრთვილი...  
სამყაროს იქით, სიცოცხლის მერეც  
„მარადისობის კანონით“ ვივლი.

1990.



\* \* \*

ვერ შემამჩნიეს. მდელვარებით დაიწვა ღამე.  
მეტყინა მიწის ჭრილობებად ქცეული სული.  
ამდგრეულ სიზმრებს მივეკონე. აპრილის ქარებს  
სისხლის სიმძაფრით შევასუნთქე საკმევლის სუნი.  
მსხვერპლი ითხოვა მაცხოვარმა დაღლილ  
თვალებით, ბეთლემის ზეცამ ვერ იტია ფიქრის  
ანთება. სამარიტელი ქალის მსგავსად შეშინდა  
დილა და ცრემლით დაწვა ვარსკვლავების მძაფრი  
ნათება. სივრცეს დაეტყო ლურჯი ზღვარი. მუზამ  
იწვიმა. მეზმანა, თითქოს უწმინდესი იესოს  
სთხოვდა ბედნიერებას მამულისას... დამნისლა  
ფიქრმა. ცისფერ საუფლოს ავუყევი. უფეროდ  
თოვდა. დამწუხებული ჭადარივით მიმზერდა  
მთვარე. ცოდვის ანდერძად შეიკონა სხივთა არული  
და „სინაულის ნათლისცემად“ დადალულ თვალებს  
დაეტყო მიწის ყრუ ღაღადი, ცამდე ასული.  
თმაგაშლილ წმინდანს მივამგვანე ჩემი სტრიქონი,  
ნინოის ჭვარით მუშტადშეკრულ ერს გავუდიმე,  
ჭრისტემ თავისი ღვთაებრივი, წმინდა ქიტონი  
შეისწორა და... საქართველოს დახედა თრთოლვით.  
ვიგრძენი, მიწა როგორ იძრა, ძლივს მოვიგონე  
ლოცვის პირველი მწველი სიტყვა, თქმული  
მზისაგან... სულმა შეიგრძნო უცხო შვება, უცხო  
მირონი... მამული ჩემი განიწმინდა ცოდვებისაგან!  
აღიმილება დაემგვანა ფრთიან სტრიქონებს,  
ბეთლემის ცაზე ანგელოზებს მოსწურულდათ ფრენა,  
ცისა და მიწის გასაყართან მზე მივიკონე, ქარმა  
მაჩუქა სიხარული და აღმაფრენა.

1990.

\* \* \*

ო, არა, არა, ეს არ ჰყავდა მზის დაბნელებას.  
ეს იყო მხოლოდ ურწმუნოთა ამონახვნეში.  
ჩემი ბავშვობა იწყებოდა სუსტ სიმღერებად  
და ებმებოდა უფროსების თვალთა მახეში.  
სივრცეს ზომავდა არყოფილი ეშმა თვალებით.  
ზღვის ნაპირებზე ყრუდ გოდებდა არარაობა.  
დასეირნობდნენ ჩადრიანი ბანოვანები და  
იშლებოდა ყვავილებად ნორჩი თაობა.  
ჩამავალ მზის სხივს მონატრება აჩნდა  
სისხლისფრად. მიდიდდებოდა თვალთახედვის  
გასადევარი. მე დავინახე, საუკუნე როგორ  
დამძიმდა, როგორ ჩაუანგდა ქართველთ ფარი  
და სატევარი. დამე ოხრავდა.  
ქარი ფერმკრთალ გარას ართავდა.  
ზღვის სანაპირო, ხის ჩრდილებით გადაბურული  
პირამიდებით გადაღვარცლულ საფლავს მიჰყავდა.  
ცაზე ამაყად დადიოდა შავი ქურუმი.  
თვალს გუშტერებდი კავკასიის ჭალარა  
მწვერვალს და სიკვდილოვით მაშინებდა  
სისხლის კოშმარი. ვგავდი ყველასგან მიტოვებულ,  
გაკიცხულ მწერალს, რომელსაც არ ჰყავს არც  
მფარველი, არც რამ მოძლვარი.  
მელოდებოდნენ საქართველოს მინდვრის ფერები,  
ცრიაგა რიცრაჟს მოსდებოდა ლექსის სურნელი  
და ნაწილ-ნაწილ დაყოფილი ლურჯი ბგერები  
მიჭრიალებდნენ აღმართ გზაზე ფიქრის ურემით;  
მე მიხაროდა. უწმინდესის სურათს ვუმზერდი  
და ჭვარცმას, როგორც ცრემლის მუხრუჭს,  
შველას შევთხოვდი, ვიცოდი, ცა რას საუბრობდა  
ავგაროზ მზესთან, მესმოდა, მიწა გაზაფხულზე



როგორ ღრეობდა და მაინც, მაინც, ჭვარცმა იყო  
ყოვლის დამტევი. ჭვარცმა მმატებდა სიძლიერეს  
სულის ქართულის. ოქროსფრად მზირალ  
ასომთავრულს მიღმა უფეროდ ქრისტეს თვალები  
იყო სისხლით ამოქარგული და მივდიოდი ასე  
რწმენით აღზევებული, „ღმერთმა დაგლოცას და  
გახაროს სულით ძლიერით“ - აღმავალ ბილიკს  
მიღოცავდა უწმინდესი და მიდიდდებოდა ვარდის-  
ფერი თვალსაწიერი.

1989.

\* \* \*

დამის წევდიადში მოგონების გაცრეცილ ფრესკას  
ხელს შევახებ და... გობრონივით მტკიცედ  
დავდგები. გული ვერ იტევს აღშფოთებას, მზის  
ზარი რეკავს, მარტოდ შთენილი თმოგვის ციხეს  
მივეახლები. ბევრჯერ ნატვრაში გამიპია დღე  
ტალღასავით. არ შევიცვლები (უფრო სწორედ,  
ვერ შევიცვლები). ვიცი, უღონოდ დამე ხელებს  
გაასავსავებს და ძრწოლას მომგვრის უბოროტეს,  
ყრუ შეკიცვლებით. ჩემი ლექსები უფაქიზეს  
გულით იქმნება და გასაძლისი აღშფოთებაც  
გამოვიარე. კითხვისინიშნები მისერავენ სტრიქონს  
იქნება, იქნება ეშმა არ მიხორცებს ძირძველ  
იარებს. დასაბამიდან დამანათლა უფალმა შიში,  
დასაბამიდან მტკიცნეული ძარღვი გამიჭრეს,  
გამოვიარე დღევანდლამდე გზაწვრილი ფიქრში,  
ახლა კი ცაში მართვესავით უნდა ავიჭრე.  
მაცალეთ მხოლოდ! - სიჭაბუკეს შევასხა ფრთები  
(ბავშვობის ტკიცილს თავს ვერასდროს დავალწევ  
თუმცა). ყვირილობისას მომეწევა ციური ხმები და  
გამაცლიან მოგონებებს სულ ფურცელ-ფურცელ.  
ცხოვრება თავის წილ ცრემლს ითხოვს ფართო  
პეშვებით. ასეა მუდამ. არარაა ტკიცილი უხმოდ.  
ბერმუხასავით გამიდგია მტკიცე ფესვები და  
ქართლის ცის ქვეშ ანგელოზთა ამალას ვუხმობ.

1990.

\* \* \*

„რაღაც მინდოდა მეთქვა, თუმცა ხომ ისედაც  
იცოდი“. ეკა ბაქრაძე.

რა უნდა გეთქვა - ამ ჩარჩოებში და ცის  
ცრემლებში რას გავარჩევდი, თუმცა, დაღლილი  
გულების ფეთქვას მიწიერებიც გამოარჩევდნენ; რა  
უნდა გეთქვა ჩვენი ჩურჩული ყველა ჩურჩულზე  
უფრო რთულია და თრთის ფოთოლი... რას ვერჩით  
ფოთოლს, რას ვერჩით მიწას - მფეთქავგულიანს. მე  
ისეც ვიცი, „ო, რა თქმა უნდა“, ირგვლივ შენ  
სუნთქავ და მენატრები, ჩვენი ბავშვობის აძისფერი  
ბუდე და პოეზიის ლურჯი ხატები ახლაც სხვაგვარი  
სურნელით მავსებს... და, შენც, ნათელი და ახლო-  
ბელი მამშვიდებ სიტყვით და ვცხოვრობთ ასე,  
მზისფერი სანთლის ჩაუქრობელად და როცა სავსე  
გულების ფეთქვით მიწიერები გამოგვარჩევენ  
ვგავართ ფერადებს, რომელთაც ცნობენ და მერე  
თვალებს ნელა აჩვევენ, ვგავართ სიტყვებს და  
ხმამალად ლოცვას და მონატრებულ ქარების  
კივილს, გვესტუმრებიან ჩურჩულით როცა და ამ  
სტუმრობის სინათლე გვტკივა და ასე, ასე ტრი-  
ალებს რაღაც, ჩვენი სინათლით დაბნეულ  
ჩრდილებს აუხდენელი ოცნება დაღავთ და სულს  
ღრუბელთა პაწია ფთილა ისე ადნება, თითქოს  
ბავშვობას ეთხოვებიან სველი თვალები, მე გამოვ-  
დივარ ცრემლიდან ფრთხილად ლოცვით,

հյուրիշուլուտ და օարեბით და შენ մացեბებ  
შენიսլულ ღიმილს (ღიმილი მთვარის თეთრი  
სულია), გამოპარულა სიზმრიდან წვიმა და მთის  
ფერდობზე გადაუგლია და დარჩენილან სველი  
ფოთლები, ფოთლები, ეკა, სევდის თვალებით, მე  
მიხარია განმეორება თავის სინათლით თუ იარებით  
და ვიმეორებ ნაბიჯებს ახლაც, ასე დაშლილი და  
ახლობელი მოვდივარ... ძველი სინათლე მახლავს,  
მზეთა სინათლე - ჩაუქრობელი.

1994.

## მონაცემა

### შემოდგომის საღამო

საღამოს პირებს მდუმარედ ზვერავს  
ჩემი ტკივილის და მონატრების  
გადაღლილი შიშველი მზერა  
და მაგონდება ადგილის დედა  
და ჩემი დედა სევდიანი თაფლის თვალებით  
და ბორგავს სული - დაბნეული უცნაურ ბედით -  
სიყვარულებით, იმედებით, აღიარებით  
და ჩემი დედა თვალს ადევნებს სიშორის ყინულს  
(თაფლის თვალებით თვალს ადევნებს  
გულს თავისწერას)  
და შემოდგომა მზის სხივებად ადნება მინებს  
იმ სახლის, მე რომ ვუყვარდი და მზარდა და მწერა.

2008.

## ორშაბათი

დატეხილია ჩემი თითები  
და მზერა ისე სევდიანი,  
რომ სიზმრებსაც გადააბრუნებს.  
ჩემში მთავრდება ორშაბათის  
მშვიდი საღამო  
და თითებიდან სისხლთან ერთად  
საღამო წვეთავს...

ხოლო ის კაცი,  
ვინც ჩემს მზერას ძაფი გამოსდო  
და გულზე ძაფის გორგალივით  
გადაიხვია,  
დგას ორშაბათის ჩამოთვლილ  
გზაგასაყარზე...  
ჩემი ცხოვრება ორშაბათის შეჯამებაა  
და აღარ ვიცი, რას მივენდო, -  
ამ კაცის ღიმილს,  
რომელმაც ჩემი სევდა  
გულზე გადაიხვია  
თუ  
ბრძნულ ნათქვამს, რომ  
ორშაბათით იწყება კვირა  
და ხვალე ყველა ორშაბათებს  
ჩამოიტოვებს.

1999.

\* \* \*

რაღაცნაირად გულგრილი გავხდი...  
ერთადერთი, რასაც ვამჩნევ  
ქედელზე უშენოდ ატუზული  
ოთხი ჩარჩოა  
და ფერები - შეჭუჭკული ჩარჩოს კუთხეში...  
მენატრება საყვარელი ქალაქის მტვერი,  
შავი მტვერი - მოუცლელი, სადა ქუჩების.  
ვრეკავ უცხოელ მეგობართან,  
რომლის ძარღვებშიც  
დაედინება უცნაურად ნარევი სისხლი,  
რომელიც კოსმოპოლიტია  
და ერთნაირად ენატრება  
ბონიც და ჩიკაგოც...  
და ვუყვები, რომ  
ქალაქი, რომელიც მენატრება,  
ძალიან ძველია და ძალიან სახიერი,  
მაგრამ უცნაურად დაავადდა და  
ადამიანებს ვეღარ პატრონობს.

1999.

## Եռևաղաղօս

ԲԻԿԻՎԱ, - զամենք մե.  
ՄԵՐԵ հա, հռմ  
ՀՈՒԴՈ Ենու Շին ամուսես Սյուլո  
ՄՈԽԻՌՈԱԼԵ մինու ՆԱԳԵՔԵՑՈՒԹ  
ՀԱ ՀՈՒԴՈ Ենու Շին մասՇԱՎԼԵՍ  
ՍԱԿՇՈՏԱՀՈ ՍԵԵՍԼՈՒԴԱՆ  
ՍՅՈՒՋՈԼԵՑՈՍ ցամոցցեցնա,  
ՏՈՒՄՊՎԱ եռմ ՇԵՄԻՔԻԱ  
ՀԱ ԾԿՈՎՈԼՈՍ ցամոխածոցու  
ԵՐՈՏԱԾԵՐՈՒ, մարտալո ԵՐԻԿՈ -  
ՄԱՐՔՎԵՆԱ ԵԵԼՈՒ  
ՏԵՐԻ ՑՄՈՒՌԱԵԼՈՏԱՆ մոակլուցեմա.

1999.



\* \* \*

ამგვარად ვცხოვრობ -  
სამუშაო მაგიდაზე დამხობილი  
თითები მტკიგა  
და სულში ჩაზრდილ  
წითელ ეკალს  
ღამლამობით მთვარის სხივებს  
ბალიშად ვუფენ.  
ლამაზად სუნთქავს ჩემი ქმარი...  
მის ნესტოებში  
თითქო სევდა ჩაგუბებულა  
და მკერდში მშვიდად ამოზრდია  
ნდობის სიფითრე.  
როცა საუბრობს, ბაგეებზე ელვა გადასდის  
ხოლო დუმილი მარადიულ სევდად ადნება.  
ჩვენს თვალებს მოსწონს ერთმანეთი -  
ცისფერიდან წაბლისფერში იღვრებიან  
სურვილების უცნაური გადმონაშთები,  
ხოლო სუნთქვიდან ამოზრდილი  
ნდობის ყვავილი  
სამუშაო მაგიდაზე მოცახცახე  
თითებს ადნება.

2001.

\* \* \*

სხვანაირი ვარ.

დაგიღალე.

და ოთახი, რომელიც იტევს  
ჩემს გაცრეცილ გერმანულ წიგნებს

და ქართულ ლოცვას

და საათის განწირულ წიკწიქს

ნელა-ნელა ემგვანება ირეალობას

და ვიცი, რატომ ვთამაშობდი

ერთი დღის წინ ზაფხულის ფოთოლს -

მომლოდინე შემოდგომით

პირთამდე სავსეს.

ახლაც ვცახცახებ ფოთოლივით

და უამიჯამ ხელისგულზე

ნაოჭებს ვითვლი...

ხელებზე ბედი მაწერია

უცნაური, უცხოვრებო

ცხოვრებით სავსე:

ჩემს ხელებს ახსოვთ,

რომ ოდესძაც პოეტი მერქვა

და სულში დიდი,

თეთრი ნავით ვმოგზაურობდი.

ახლა... ძალიან დაგიღალე,

რადგან თეთრ ნავში

უცხო სიტყვებით მოწამლული

წყალი დაგუბდა.

2001.



## ქ—ს

მკვდარ ფოთოლს ვგავარ და ვიფიცები,  
რომ სიფრიფანა, ცერა თითი  
ვარდისწყალში მაქეს ამოვლებული  
და მზის ჩვეული ცახცახიდან  
შარშანწინდელ ზაფხულს ვიწოდებ.  
მდუმარება მაქეს ბოლო საგზლად  
და სული, სადაც  
თეთრი კარივით იხსნებიან მოგონებები  
კარივით კვნესის და ჭრიალებს  
შენს დამთავრებას.

2001.



## იმედი

ვრჩები საკუთარ თავთან და რწმენა -  
მარჯვენა ხელზე დაწვეული  
მიდის ფურცელთან  
და ამბობს, რომ  
ფოთოლცვენა დროებითია,  
რომ სულს ყოველთვის  
აქვს საკვები უხილავ ფსკერზე.

2001.

\* \* \*

ვინ შემიბრალებს უცხო მიწაზე  
ბეღურასავით მცივანს და ამტანს,  
მე გულს ავყევი და ახლა სიტყვებს  
შენს მშრალ კალთაზე ხმაურით ვფანტავ  
და თრთის კედლები, რომელშიც ასე  
მოჩვენებითი სიმშვიდით ვცხოვრობ  
და მხოლოდ შენი სიცილი მავსებს  
ამ გადაღლილი საღამოს ბოლოს..

2003.

\* \* \*

Ճճեսաւ, պալից հռմ լեմու զենքը զո  
դա մերեծ մոտրուս գոտլուսմացարած,  
պերեծու մովուս սեյուլս զեխեծո  
դա Ծելլեցոնուտ սայմես զագարեծ,  
նոյ օգոյիրեծ, հռմ կմայուցուլլեծա  
ռայեսմե սուլուս չեծուրս წալլեցաց,  
մե յարումելլեծուս սունտշեցա զոնեծե  
դա չեցուս ծոլուկս լուցուտ ազեկար.

2003.



\* \* \*

არ ვიცი, როგორ დავიბრუნო  
უცხო ქალაქის გულგრილობაში ჩამკვდარი  
ჩემი პოეტური აღმაფრენა.  
ხანდახან ხელისგულებზე ყვავილებს ვიწყობ  
და მოცახცახე მაჯებიდან ვიწყებ სინანულს,  
რაღაცნაირი, გამჭვირვალე ცრემლებით სავსეს.  
აღარ ვიცი, რა სახე მაქვს უცხო ქალაქში -  
კითხვისნიშნის თუ უფოთლებო თეთრი ყვავილის,  
მივეჩვიე მისალმებებს უცხო ენაზე  
და ჭრელ-ჭრულა სახეებში თავის ჩაკარგვას  
და ჩემი სისხლის კეთილშობილ, თავმაღალ ყივილს  
შშვიდად ვაფარებ გაძლების და თმენის სუდარას  
და ძველ სხეულში მონატრების სინათლე მივის  
და მთვარის სევდა,  
ჩემი სულის გზებს რომ ვადარებ  
და წარსულს, მთვარით განათებულს,  
მწირივით ვუმზერ.

2005.

## ԱՆԱՋԵՐՈ

մացրամ մյ զօսիցալոց, հռմ պնդա Շեմենակա  
տուղեծից Շեմեմարո լլեյիցեծուս նախոլոց  
ձա պոզել ջոլուտ զպոգոլոյացո  
հիզելոց ձրուցո վալո ճա ճեճա,  
գամոմեթմո շրմելո սեցդա գանուածուան  
ձա տմուս սամացրուտ Շեմեցրա յրտաճ  
ճա պարուցո պարու լլեյիսուս մ՛հրալո բակբակո  
ձա մեկուտեա Շուղեծուտցուս շրմելո կլածրոցի,  
ժրմուտո մուղեծո, մելուղունա մոլուսպուրուլո  
ձա ըկցնեսատ հիմս տուղեծից Շեմեմար ստրոյոնցեծս,  
մահլցեծիո պեմուդ Շեսուլոյցնեն, սուսելո  
այմլցրուտ  
ձա մեպակբակա բուղեանոցուտ,  
գամեցլո քարալուլոց  
տուղեծսա ճա մահլցեծս Շորուս,  
հիմս տցալոցի Շորուս, ճլեյեծս Շորուս,  
սուցուկելուս Շորուս.

2008.

## ძირისპირული

დღეს სამი რამე უნდა გასწავლო:  
წერა და წერა და კიდევ წერა.  
ჩემი ფანჯარა დაორთქლილია,  
ქარი მარტივად ისწორებს პერანგს  
და ვდგები. ახლაც ხმაურით ვდგები  
და ფანჯრის მინას ცახცახით ვაწერ,  
რომ უცნაურად დამაჭრეს ფრთები,  
რომ მხრებზე მიწის სიმძიმე მაწევს,  
რომ შენც ვერასდროს ვერ წაიკითხავ  
ვერც ნაწერებს და ვერც სულის ჭრილებს,  
რომ დაღლილი ვარ და ნისლიანი  
და სევდა ფარავს თითებს და ჭირხლებს  
და თითებიდან სიცოცხლე წვეთავს,  
გაფითრებული და შემცივნული  
და ფანჯრის მინას აკრული სევდა  
ჩემში შემოდის ძილისპირულით.

2008.

## ფშავში ძველებურ ამბებს ყვებიან

ფშავში ძველებურ ამბებს ყვებიან,  
ვაუაი სუნთქავს ზეცის თავანზე,  
თხილიანისკენ მტვრიან გზებია,  
ღორღი ხეობას არცთუ ანაზებს  
და, მაინც, უცხო ხიბლი ზვირთდება,  
როცა შუაფხოს კორდებს ედები,  
ერთბაშად გნუსხავს მიწის დიდება  
და სიზვიადე ლურჯი ქედების...  
ფხოვის ზეცაო, შენ დაგვიფარე  
(იახსარს თემის დროშა ფრიალებს),  
გულზე სანთლების ტევრი იფარე,  
ნუ გაგვიახლებ ძირძველ იარებს...  
ფხოვის ზეცაო, სული გაგვითბე  
შენი თვალების უცხო სინათლით,  
მზის სტრიქონები უხმოდ გარითმე  
და გულისგულში დააბინადრე  
ის იები და ის ენძელები,  
მე რომ პირველად წავართვი მიწას  
და, იმის მერე, სუსტი ხელები  
საკუთარ ტანზე მესობა ხიწვად...  
ფხოვის ზეცაო, ეს მონატრება  
ვიცი, სახიერ სევდას მარგუნებს,  
გამომიგზავნე პატარა ფთილა  
იმ ღრუბლის, შენ რომ იფენ სალბუნად,  
გამომიგზავნე ღრუბლების ფთილა -  
ჭრილობებს უნდა მივუსალბუნო...



ფხოვის ზეცაო, ძველი ხელებით  
ზოგჯერ ვიშრისფერ დალალს გიტოვებ,  
ნუ მომიგონებ არგახელებით,  
ნურც ხსოვნის ბოლოს ნუ მომიტოვებ  
და შენი დიდი იდუმალება  
გალუმპულ მხრებზე შემომასალტე.  
გამაბრუებენ, ალბათ, ქარები,  
როცა სიყვარულს ვეღარ ჩავატევ  
ამ სატიალე გულის საზღვრებში  
და უსაზღვრობის ფერს შევიფერებ...  
ვიცი, სუსტია ფერის გარეშე  
ყველა ლოცვა და ყველა სიმღერა  
და ფერანთებულ ნატვრით გინატრი  
და ვგრძნობ არაგვის ლტოლვას ვნებიანს,  
შეშლილს პირველი სხივის სინათლით,  
შეშლილს, ულწევს და ველურხმებიანს...

1995.

## ბარათი საქანთვეღოს

მე შენ გეკუთვნი და არ ვიცი, როგორ აღმოვჩნდი  
ამ უსაზღვრო და მარტოობით შეღებილ ცის ქვეშ,  
სადაც ბეღურებს წელიწადის ყოველ დროს სცივათ,  
სადაც სწავლობენ, რომ წარსულზე მარადი დარდი  
სისუსტის დიდი ნიშანია და... არ დარდობენ.

მე კი ვდგავარ და ბედნიერებას ვთამაშობ  
უცხო კედლების დუმილში შეყუული  
და ამ ყოფიდან ამოზრდილი ეკლები მაღრჩობს;  
შენი სურნელი შერჩენია სამშვიერელს სარჩოდ  
და საოცარი, მადლიანი სიტყვების სარჩევს  
ვალაგებ გულში, საგანგებოდ, ხმაურით გდარდობ  
ასე ძალიან აგადმყოფს და მაინც მშვენიერს.  
და ვამჩნევ, როგორ უკვირთ კედლებს, როგორ  
იჩეკლავს

გერმანული ბიურგერტუმის ცივი მშვენება -  
ჭრელი, ნატიფი პორცელანი ოქროს ხაზებით -  
ჩემს ემოციის მდინარეებს, უსიტყვოდ სუნთქავს  
ძველისძველ ბგერებს - კავკასიის ჩამონათალებს -  
ქართულ სატკივარს რას გაუგებს დედინაცვალი...  
მე კი შენს მკერდზე დამბნევია ყველა მარცვალი,  
შენი შვილი გარ და არ ვიცი, როგორ მოგბანო  
ეგ სისხლიანი ჭრილობები, რა დაგაფინო  
დაღლილ თვალებზე,  
დაჟეჟილ და ნაწამებ მხრებზე,  
სიტყვებს და სიტყვებს,  
კიდევ სიტყვებს შენთვის ვაქუჩებ  
და მტკივა გული,  
შენ რომ გვავს და... შენ რომ მაჩუქე.

2008.



## პოლოთქმის მაგიერ

„ჩემი წილი საქართველო მუდამ  
თან დამდევს...“

- ირმა, შენ ის პოეტი ხარ, რომელიც გარკვეული ხნით მოწყდა ქართულ ლიტერატურულ სივრცეს. ყოველ შემთხვევაში, შენი ახალი არაფერი წამიკითხავს კაი ხანია და ძალიან მიხარია, რომ დაბრუნდი, ახალი ლექსები მოგვიტანე გამოსაქვეყნებლად. იმედი მაქვს, ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება თუ ისევ უნდა დაგვეკარგო?

- თავად ფაქტს, რომ ევროპაში ყოფნამ ქართულ ლიტერატურულ სივრცეს მომწყვიტა, მუდმივად განვიცდი, რადგან ვფიქრობ, რომ ქართველ პოეტს ქართული გარემო სჭირდება. თუმცა, ამ ხნის მანძილზე, ქართულ პოეტურ სიტყვასთან ურთიერთობა არასდროს გამიზყვეტია, მშობლიური ენაზე წერა იყო ჩემთვის მუდამ ის უმთავრესი ფაქტორი, რამაც უცხოეთში ქართული სული გადამირჩინა. დაკარგვას ნამდვილად არ ვაპირებ და მადლობის მეტიც არაფერი მეთქმის ძველი მეგობრებისთვის ლიტერატურული წრეებიდან, რომელნიც, წლების მერეც გულისა და გამოცემების კარს ძველებურად მიღებენ.

- სანამ საქართველოდან წახვიდოდი, სამი პოეტური კრებული გქონდა გამოცემული და ალბათ შენი პოეტური საგზალიც ეს იყო. როგორც

զուցո, Շենո լլեյքսեծուն նոցնո օյեաց գամունքուն, - ցերմանիանուն. ցցուամծեց Շենս ցերմանյան կրեծունչուն.

- პորցելու პուաթուրու կրեծունչուն - „առարսեծունչուն սութպա“ 1992 նելս, ძալուան աხալցածրդամ ցամունքուն. ամ կրեծունչունը մոտավաքսեծունչուն լլեյքսեծուն մալլեց տարցմնա րուսունագ տծունունը մշեալուն շերեմեան մանականացմա մտարցմնելուն ծեյքա լամենամ. սենորյա մուսու ոնուուագուտ ցամունցա 1996 նելս նոցնագ յս տարցմանեծուն, րոմելուն մարտլաց րոմ ոլծունուրու յնա այցս, րուսունուն համացենունը լլեյքսու ցրտու ամուսունունցուտ տարցմնա ցերմանյան ցամունչուն. յսեւ մուսու ոնուուագուտ ույու, րագցան, րոցորց տցուուն ամծուն, հիմէ პուաթուաստան ցուցու սունույրու նատեսառա այացմուրուն... սամու նմուն նոն կո հիմու շեմոյմեց ծուուն ցերմանյան կրոգուեսուրու դա մներալու, յունու րութունուն դանունցերես դա. յունու հիմու սամու լլեյքսու ոնթերն ցութուն ալմուհինա, տացագ մոմեցնա, դանարհինու լլեյքսեծուն ցաց ծանա մտեալու դա մոցցուանյեծուտ տացագ յուտաննմուն ցրտ-ցրտ ցամունցունուն լլեյքսեծուն նոցնագ ցամունցունչուն. սեացատամորուն, մուս ցրտ-ցրտ ծուուն րոմաննուն „լլեյուն ուունուն“, րոմելսաց տացուս առահեց յունուն մեյունուն յունունուն, մոտեառունուն այցս, րոցոր օմոյմեց դա մասնու հիմմա լլեյքսեծուն, րամելու սունույրու նատեսառա այացմուրուն հիմէ պուաթուաստան. ալծատ մարտլա ար ուուան մունատեսաց սունուն արց ցրունուն դա արց սանցարուն. հիմտցուս կո պայլա յս մեցունարու, լմերտուսցան ցամուց ծանունուն

ისეთივე საჩუქარია, როგორც მისგან ნაბოძები  
პოეტური ნიჭი.

- რას გვეტყვი ჩვენს სიძეზე, ანუ შენს გერმა-  
ნელ მეუღლეზე, თუ გეხმარება და თუ ესმის შე-  
ნი, როგორც შემოქმედისა...

- ჩემი მეუღლე - იოახიმ ბრიტცე - პროფესი-  
ით ფილოლოგია, სლავისტი. კარგად იცის რუს-  
ული, ბულგარული, სერბო-ხორვატული და იაპ-  
ონური ენები. სწავლობს ქართულსაც. ენევა მთა-  
რგმნელობით მოღვაწეობას და წერს და აქვეყ-  
ნებს გრამატიკის წიგნებს. მას ძალიან მგრძნო-  
ბიარე სული აქვს და ჩემს შემოქმედებასაც ზუ-  
სტად ისე გრძნობს, როგორც ვისურვებდი. იო-  
ახიმი ყველაფერში მეხმარება და მხარში მიდგ-  
ას. იგი ჩემი საუკეთესო მეგობარია.

- შენ ამჟამად მუშაობ გერმანიის რადიომაუწ-  
ყებლობაში და აგვიხსენი, რომელ რადიოში კო-  
ნკრეტულად და როგორი ხასიათის გადაცემებს  
აკეთებ?

- რადიო “Bonn/Rhein/Sieg” წლების მანძილზე  
უთმობს ეთერს უცხოელ უურნალისტებს. მე ჩე-  
მი ქართული-გერმანული კულტურული გადაც-  
ემა ექვსი წლის წინ შევთავაზე მათ და მას შემ-  
დეგ გავდივარ ეთერში. ჩემი გადაცემები 28 წუ-  
თიანია, ორენოვანი და ქართულ- გერმანულ კუ-  
ლტურულ ურთიერთობებს ეძლვნება. პროფესი-  
ით ტელეურნალისტი ვარ და საყვარელი საქ-  
მე ძალიან დამეხმარა იმაში, რომ ამდენი წელი  
უცხო ქვეყანაში გამეძლო. თანაც ამ საქმის კე-  
თება ერთგვარი ყოფის გამართლებაა ჩემთვის  
ჩემი საქართველოს წინაშე.

- როგორ გრძნობ თავს იქ და აქ დაბრუნება

## აუცილებლად მიგაჩნია თუ არა?

- მეც, ისევე, როგორც უცხოეთში მცხოვრები ბევრი ქართველი, დაბრუნების იმედით ვცხოვრობ.

### - იქნებ არც წასულხარ აქედან?

- ფაქტია, რომ წავედი, მაგრამ ქართულ სამყაროს არასოდეს მოვნევეტილვარ, ჩემი წილი საქართველო მუდამ თან დამდევს... მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში ჩემი საყვარელი ოჯახი მაქვს, მუდმივად თან მდევს გრძნობა, რომ მინა, რომელზეც დავდივარ, ჩემი არ არის და თითქოს ფეხქვეშ მიწა არა მაქვს. გერმანია ძალიან სასიამოვნო ქვეყანაა საცხოვრებლად, მაგრამ მე იქ ჩემი სილალე მაკლია, რომელიც მხოლოდ საქართველოში ჩამოსვლისას მიბრუნდება ხოლმე.

- შენ ახლახანს დაიცავი დისერტაცია. რა თემაზეა და რამდენხანს მუშაობდი მასზე?

- ჩემი სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება თემას: „მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ქართული და გერმანული პოლიტიკური ლირიკა“, რომელშიც გამარჯვებული და დამარცხებული ერების ომისშემდგომი ფსიქიკა, მათი პოეზიაში გადმოცემული სულიერი განწყობაა ასახული და ერთმანეთს შედარებული. თემა საინტერესო გამოვიდა, მასზე მუშაობას 4-5 წელი შევალიე და კვლევის პროცესში ჟამი-ჟამ ვიწუნუნე კიდევაც, რომ ამ არაპოეტურ სამუშაოს დიდხანს ვეღარ გავუძლებდი...

- იქიდან, უცხო ქვეყნიდან, როგორ აღიქმება შენთვის სამშობლო და აქედან როგორ აღიქმება გერამნია?

- უცხოეთიდან ჩემი სამშობლო ჩემთვის ათმ-აგად ძვირფასია და საყვარელი, მაგრამ ძალიან ავადაა და, მიხედვა და პატრონობა სჭირდება. აქედან გერმანია ჩემთვის კეთილ დედინაცვლ-ად აღიქმება, რომლისგანაც სიკეთის მეტი არა-ფერი მახსოვს და ამიტომ ძალიან მიყვარს და ვაფასებ, თუმცა, ხშირად ვუყვები, რომ ჩემი დე-და-სამშობლო მაინც მთელ ქვეყანას მირჩევნია.

- აი, ერთ კვირაში ისევ გერმანიაში დაბრუნდ-ები და რის გაკეთებას აპირებ იქ, როგორც უკ-ვე ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი და, რაც მთავარია, პოეტი?

- გეგმებზე და სურვილებზე წინასწარ საუბა-რი მაინცდამაინც არ მიყვარს. მას შემდეგ, რაც მეცნიერულ კვლევას მოვრჩი, თავს მთლიანად შემოქმედებით საქმიანობას, თარგმანებს და კუ-ლტურულ ურთიერთობებს მივუძღვნი.

ესაუბრა  
მიხო მოსულიშვილი,  
უურნალი  
„ლიტერატურული პალიტრა”,  
2005 წ.



## სარჩევი

- 5 გაზაფხულის და ფოთლის ბალადა  
6 პოეტის მონოლოგი  
7 იანო...  
8 \* \* \* (არ შეიძლება ლექსებს წერდე ძველი ინტიმით)  
9 მოდით...  
10 \* \* \* (ახლა ამ მიწას ატკივდება ჩემი ცხოვრება)  
11 კლდის მონოლოგი  
12 ბონის დღიურიდან  
13 ფოთლების ხიდი  
14 ზ.პ.-ს  
15 ვარ ხმამაღალი  
16 გასვლა ფოთლიანი წრიდან  
17 წადი...  
18 ხსოვნის ნაპირი  
19 \* \* \* (ვინ გაჰყვება ჩემს ფიქრიან აჩრდილს)  
20 ღამე და გაზაფხული  
21 და ეს მზე ჩემი სამოსახლოა  
22 \* \* \* (რა იყო-ნუთუ მომეჩვენა თქვენი აჩრდილი)  
23 \* \* \* (ბარათი იყო ისეთი თბილი)  
24 \* \* \* (გული მაინც თქვენთან დარჩა)  
25 იცრემლება ფერი  
26 ჩანახატი  
27 \* \* \* (მომიფონებენ გულზე იმედად)  
28 არაფერი არ ვიცოდი  
29 \* \* \* (დგანან მხედრები)  
30 \* \* \* (ამ ერთხელ კიდევ მოგიტევებ)  
31 \* \* \* (იცინის ბავშვი)  
32 შემეშველეთ...  
33 \* \* \* (შეღამებისას იწყებოდა ქარის კივილი)  
34 ცოტა მყოფნიდა  
35 იოახიმს  
36 წრეზე ბრუნვა

- 41 მან დაწერა: „ჰაერი მტკივა“  
42 \* \* \* (ქალბატონი)  
43 \*\*\* (როგორ ავივსო)  
44 \* \* \* (ბავშვი უცხოა და შეიცვალა)  
45 ეკა ასათიანს  
46 პარიზის დღიურიდან  
47 ორი სიტყვა ცრემლზე და პოეტზე  
48 \* \* \* (იმ სურვილებით უნდა გავქვავდე...)  
49 \* \* \* (მე უარყოფა ვისნავლე გვიან)  
50 \* \* \* (ასეა! ალბათ, გაგიუება ლირდა ცრემლისთვის...)  
51 \* \* \* (მე სოსანისფერ ცრემლში ჩამტოვეს...)  
52 თითები სამყაროს ხახაში  
53 მე და მიწა (პოემა)  
63 \* \* \* (და განიცდი...)  
64 \* \* \* (ყველაფერი ცრიატდება)  
65 \* \* \* (რაღაც ძველი დაგიბრუნდება)  
66 \* \* \* (შენ არ ნახვიდე)  
67 \* \* \* (როდის უფეთქავს დედმიწას გული)  
68 \* \* \* (რას დაინახავ...)  
68 \* \* \* (მე უკვე მივიცვალე)  
69 \* \* \* (მე დამამსხვრიეს)  
70 \* \* \* (მე ფერი არ მაქეს)  
70 \* \* \* (შემიყვარდა და ამრტობაში შემასახლეს)  
71 \* \* \* (და პოეტი სხვების თვალის ასახვევად)  
72 \* \* \* (როგორ მარადიულად დავისაჯე)  
73 \* \* \* (გამოიტირებს განთიადს მნათე)  
74 გული - დაგლეჯილი ქიტონია  
75 \* \* \* (ვაიმე, დედა, ჩემს საქართველოს...)  
76 \* \* \* (გიცან და მაინც ვერ გიცან თითქოს...)  
77 \* \* \* (ის ისტორია...)  
79 \* \* \* (შირაზის ვარდი ციურ სინათლით..)  
80 მოლურჯო თაღი

- 81 და, ვხატავ...  
82 მიყვარდით  
83 \* \* \* (ალარაფერი ალარ შემეძლო)  
84 \* \* \* (მოვა ოდმანი - ურცხვი ჯალათი)  
85 \* \* \* (შენი სიცილი დღესაც ლალია)  
86 \* \* \* (დავადნობ მკლავებზე სხეულის საცმელებს)  
87 \* \* \* (დღესაც ზაფხული ჩურჩულებს ჩემში)  
88 \* \* \* (ალარაფერი შეცვლილა თითქოს...)  
89 \* \* \* (რატომ გამიშვი იმ წვიმიან ამინდში მარტო)  
90 გაუგზავნელი ბარათი №1  
91 გაუგზავნელი ბარათი №2  
92 \* \* \* (ხომ შეიძლება მთელი ლამე არ დამეძინოს...)  
93 \* \* \* (შენი ცოდვები...)  
94 \* \* \* (ზენ ვერაფერი ველარ შეგცვლის)  
95 \* \* \* (ლირს სიყვარული მიწის მტვერში?)  
96 \* \* \* (ოლონდ როცა შარტო იქნები)  
97 მინაწერი დღიურის ყდაზე  
98 \* \* \* (მე ასე მსურდა...)  
99 \* \* \* (რა მერე ... დავმთავრდით)  
100 \* \* \* (ჩვენი შეხვედრა მუდამ რალაცა...)  
101 ავდარს მოვგავარ  
102 გამოსავალი  
103 \* \* \* (რა სამწუხაროა ...)  
104 \* \* \* (მე კი ცხადია, არაფერს არ გთხოვ)  
105 \* \* \* (მე ყველაფერი მშვენივრად მახსოვს)  
106 \* \* \* (არაფერს ჰგავდა ეს მონატრება)  
107 \* \* \* (და კიდევ ერთი წერილი შენთან)  
108 \* \* \* (გემუდარები გამიღე კარი)  
109 \* \* \* (მე, რა თქმა უნდა, მთავარს ვმალავდი)  
110 \* \* \* (ვერ გამოვდივარ იმ წარსულიდან)

- 112        \* \* \* (ჩემი სახეა სიყვარული)  
113        \* \* \*(ეს უცნაური ზრუნვა შემრჩა)  
114        \* \* \* (მან თქვა...)  
115        კაქტუსის ღერო  
116        ლუკას  
117        \* \* \* დედა გიმლერის  
118        ზამთრის სიმღერა  
119        ცხოვრების უჯრაში თოვლია  
120        \* \* \* (მელანქოლიის ყოვლადობა)  
122        \* \* \* (შესაბამისად-ყველაფერი წარსულს ჩაბარდა)  
124        \* \* \* (წვიმის წვეთებში ჩანს რაღაცა უკარებელი)  
125        \* \* \* (სად არის ახლა...)  
126        \* \* \* (ვერ შემამჩნიეს...)  
127        \* \* \* (ო, არა, არა, ეს არ ჰგავდა მზის დაბნელებას)  
129        \* \* \* (ლამის წყვდიადში...)  
130        \* \* \* (რა უნდა გეთქვა)  
132        შემოდგომის საღამო  
133        ორშაბათი  
134        \* \* \* (რაღაცნაირად გულგრილი გავხდი)  
135        ნოსტალგია  
136        \* \* \* (ამგვარად ვცხოვრობ...)  
137        \* \* \* (სხვანაირი ვარ ...)  
138        ქ-ს  
139        იმედი  
140        \* \* \* (ვინ შემიბრალებს უცხო მიწაზე)  
141        \* \* \* (დღესაც, ყელზე რომ უხმოდ გეხვევი)  
142        \* \* \* (არ ვიცი როგორ დავიბრუნო)  
143        პარალელი  
144        ძილისპირული  
145        ფშავში ძველებურ ამბებს ყვებიან  
147        ბარათი საქართველოს  
148        ბოლოთქმის მაგიერ





